ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 14 ოქტომბერი, 2021 №193 (8722) ფასი: 60 თეთრი

„სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ მასაც უსმენენ“

გვ.5

მეუფე ნიკოლოზი: „იმედი მაქვს, ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან და საყოველთაო შერიგება მოხდება“

გვ.2

გვ.2

„მოვუწოდებ სააკაშვილს, არ გატყდეს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს“

პაატა ზაქარეიშვილი: „სად გინახავთ მსოფლიოში, რომ პრეზიდენტები შიმშილობდნენ? როგორც კი სააკაშვილი გაუძლებს ამ შიმშილობას, უცებ გახდება გმირი“

„დღეს, პრაქტიკულად, ის ერთი ადამიანი უტევს მთელ „ქართულ ოცნებას“

ნიკა ჩიტაძე: „2-3 თვეში სააკაშვილს არ გამოუშვებენ, ის ხელისუფლებას პოლიტიკური ვაჭრობისთვის სჭირდება“

გვ.3

გვ.3

„ნაცმოძრაობა ოპოზიციის მღრღნელი პარტიაა“

ამირან სალუქვაძე: „დღეს მიშა ევროპულ საპატიმროში ზის“

გვ.2

მურმან დუმბაძე: „ივანიშვილი უნდა დაფიქრდეს, მას მოუწევს სააკაშვილის განთავისუფლება“

„მიშამ ქუთაისისთვის ბევრი კარგი გააკეთა“

გოგი წულაია: „გაუგებარია, რატომ გაუკვირდათ ქუთაისში ოპოზიციის მაღალი პროცენტი“

გვ.4

ISSN 1987-9385

5 როგორ გადასცა ფოთის პორტი ივანიშვილმა გაკოტრებულ ჩინურ კომპანიას

6 უკრაინაში არავაქცინირებულ პედაგოგებს სამსახურში არ დაუშვებენ

5 შიდა ქართლში 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურების ბრალდებით ბაბუა დააკავეს

5 21 წლის ა.ბ.-მ ფეისბუქის მეშვეობით 100.000 ლარი მოიპარა

„მოვუწოდებ სააკაშვილს, არ გატყდეს და საქმე ბოლომდე მიიყვანოს“

„დღეს, პრაქტიკულად, ის ერთი ადამიანი უტევს მთელ „ქართულ ოცნებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტ-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

პაატა ზაქარეიშვილი: „სად გინახავთ მსოფლიოში, რომ პრეზიდენტები შიმშილობდნენ? როგორც კი სააკაშვილი გაუძლებს ამ შიმშილობას, უცებ გახდება გმირი“

– ბატონო პაატა, სააკაშვილის დაკავების საკითხი დღის წესრიგიდან არ გადადის. დღეს ნაციონალური მოძრაობა მისი გათავისუფლების მოთხოვნით აქციას ატარებს. იწერება პეტიციები და ა.შ. როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– სააკაშვილი ცდის „ქართული ოცნების“ სიმტკიცეს და „ქართული ოცნება“ ცდის სააკაშვილის სიმტკიცეს. როდესაც „ქართულ ოცნებას“ ვამბობთ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ ივანიშვილი, თუმცა ის არსად ჩანს. გარიდებულია სიტუაციას, მშვენივრად გრძნობს თავს. სააკაშვილი კი ციხეშია. ის რეალურად მარტოა, ის იჩაგრება და რეალურად მისი ჯანმრთელობა ზიანდება. მთელი ჩემი ცხოვრება სააკაშვილს ვუტევ და ვლანძღავ, მიმაჩნია, რომ დააქცია ქვეყანა, მაგრამ დღევანდელ სიტუაციაში, პასუხისმგებლობა არის მთლიანად ხელისუფლებაზე. ანუ ვინც არის ხელისუფლებაში, ის აგებს პასუხს ნებისმიერ პრობლემაზე.

– რისი თქმა გინდათ, არ უნდა დაეჭირათ? პასუხი არ უნდა მოეთხოვათ?

– პირველ რიგში დავასრულებ ჩემ ფრაზას, მე მინდა მოვუწოდო სააკაშვილს, რომ მტკიცედ იყოს და ბოლომდე იყოს. დღეს პრაქტიკულად ის ერთი ადამიანი უტევს მთელ „ქართულ ოცნებას“ და თუ მტკიცედ იქნება და მეორე ტურამდე გაძლებს, ეს ძალიან დიდი გამოწვევა იქნება „ქართული ოცნებისთვის“.

– რა უნდა ექნა ხელისუფლებას?

– არ უნდა ჩაესვა ციხეში. გაეყვანა სადმე ცალკე, თუნდაც შინა პატიმრობა მიესაჯა. „ქართული ოცნება“ საერთოდ ცნობილია იმით, რომ არღვევს კანონს. უსამართლოდ არღვევს სამართალს. ერთხელ სამართლიანად დაერღვია ეს კანონი. პრეზიდენტი ციხეში არ უნდა იჯდეს. სააკაშვილი რომ დამნაშავეა, ამაში ორი აზრი არ არსებობს და ის უნდა გასამართლდეს აუცილებლად, მაგრამ ციხეში უნდა იჯდეს თუ არა, აი ამაზეა ლაპარაკი. ის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა ამაზრზენად, ამორალურად შეიწყალა გირგვლიანის მკვლელები, ეს არის ფაქტი, მაგრამ შეწყალება მისი პრეროგატივაა. შეწყალება არის პრეზიდენტის უფლება და მან ამაზე პოლიტიკური პასუხი უნდა აგოს და არა სამართლებრივი?! მას შეწყალების კანონი არ დაურღვევია. ასევე, შეგვიძლია სალომე ზურაბიშვილიც ჩავსვათ ციხეში, როდესაც პრეზიდენტი აღარ იქნება, იმის გამო, რომ მანაც შეიწყალა მკვლელები. ჩვენ შეგვიძლია ვაკრიტიკოთ, მაგრამ პრეზიდენტებს აქვთ შეწყალების უფლება, ეს კონსტიტუციაში წერიათ. ის, რომ სააკაშვილი ციხეში ზის შეწყალების გამო, ეს არის აბსურდის აბსურდი. მას ამის გამო პოლიტიკური პასუხისმგებლობა დაეკისრა, ხალხმა ხმა აღარ მისცა 2012 წელს. ბოდიშს მოვიხდი ყველასთან, მაგრამ ერთ ფეხზე მკიდია სააკაშვილი და მეორეზე ფეხზე „ქართული ოცნება“, ჩემთვის სახელმწიფოა მთავარი და თუ სახელმწიფო გვჭირდება, სახელმწიფო არის კანონის უზენაესობა. ჩემთვის კანონის უზენაესობაა მთავარი. სააკაშვილი იქცეოდა ცუდად, ამაზრზენად, მაგრამ არა იმდენად, რომ ციხეში იჯდეს.

– პირადად მას არ ჩაუდენია დანაშაული? ამის თქმა გინდათ?

– რა თქმა უნდა. მას რომ თავის კაბინეტში პირადად ვიღაცა მოეკლა, ეს სხვა საკითხია და თუ ამას დაამტკიცებდა სასამართლო. სააკაშვილის ქმედებები არანაირად გამართლებული არაა, მაგრამ მისი ციხეში ყოფნა აზიანებს სახელმწიფოს ინტერესებს. როგორც წესი, ციხეში პრეზიდენტებს არ სვამენ. დღეს სააკაშვილი არავის არ უყვარს, არც ევროპაში, არც ამერიკაში, უკრაინაშიც კი. მაგრამ არ უნდა იჯდეს ციხეში. ან სად გინახავთ მსოფლიოში, რომ პრეზიდენტები შიმშილობდნენ? როგორც კი სააკაშვილი გაუძლებს ამ შიმშილობას, ხომ ვერავინ იტანს მას, აი ნახავთ, უცებ გახდება გმირი. მის მიმართ სიმპათიები გაიზრდება. ჩემშიც კი, სიმპათიებს იწვევს უკვე.

– მეორე ტურამდე ალბათ არ გამოუშვებს, მერე რა იქნება?

– სააკაშვილმა გამოიჭირა „ქართული ოცნება“. მისგან ასეთ ვაჟკაცურ საქციელს არ ელოდა არც „ქართული ოცნება“. როგორც სააკაშვილი დაბოლეს უკრაინაში, ჩამოდი, შენ გელოდება ყველაო, ასევე დაბოლეს ივანიშვილი და უთხრეს, სააკაშვილი გატყდებაო. ამიტომ მე მოვუწოდებ მას, რომ არ გატყდეს. საკაშვილის არ გატყდომაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს ინტერესები.

– არ უნდა შეწყვიტოს შიმშილობა?

– მიუხედავად იმისა, რომ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ შიმშილობისა და ვფიქრობ, რომ შიმშილობით სპეკულირება არ შეიძლება, მაგრამ რადგან ასე ცინიკურად და უნამუსოდ დაუპირისპირდა „ქართული ოცნება“ მის შიმშილობას, რამდენ წყლიან თაფლს იღებდა, ის დაუთვალეს, ეს ყოვლად ამორალური ქცევებია. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, სააკაშვილმა საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

– ნაციონალური მოძრაობა ვერ არის ისეთი აქტიური, როგორიც უნდა იყოსო. პარტია იხლიჩება სააკაშვილსა და მელიას შორისო, ასეა?

– მათ შიდა საკითხებში ღრმად ჩახედული არ ვარ და გარედან ეს ყველაფერი არ ჩანს. კი მესმის ხმები იხლიჩებაო, მაგრამ მტკიცებულებები ვერ მოვიპოვე. დღეს ნაციონალური მოძრაობა პოპულარული არაა, ეს უნდა ესმოდეს სააკაშვილსაც და მელიასაც. სწორედ ამაზე თამაშობს „ქართული ოცნება“. სააკაშვილი კი ეუბნება ხელისუფლებას, მეც ვხვდები, რომ ნაცმოძრაობა პოპულარული არაა და სწორედ ამიტომაც ჩამოვედი, რომ არაპოპულარულ ნაცმოძრაობას მხარში ამოვდგომოდი. ამოვუდექი და გავაძლიერე კიდეცო. იტყვის, რომ ყველგან მეორე ტურები მისი დამსახურებაა. აი ეს მესიჯი აქვს სააკაშვილს. ცხადია, მისი პრინციპულობით ნაცმოძრაობა არ გაძლიერდება, მაგრამ ამით „ქართულ ოცნებასაც“ გამოუთხრის ძირს. დღეს როგორც „ოცნებისთვის“, ისე სააკაშვილისთვის ყველაზე კარგი ვარიანტია, მოხდეს სააკაშვილის ექსტრადიცია უკრაინაში. უნდა დაივიწყონ მისი ყველა ძველი ცოდვა, გაასამართლონ საზღვრის უკანონო კვეთისთვის და გადასცენ უკრაინას. „ქართული ოცნება“ სერიოზულ სამართლებრივ ჩიხშია. ნებისმიერი მიმართულებით უნდა დაარღვიოს კანონი, სხვა გზა არა აქვს.

– დასავლეთის პოზიცია როგორი იქნება?

– არავის არ აწყობს დღეს სააკაშვილის ციხეში ყოფნა. არავინ ამბობს, რომ ის მართალია ან უდანაშაულოა, თუმცა ყველა მიესალმება იმ ფაქტს, რომ ის არ იჯდეს ციხეში. ამით „ოცნებაც“ სახეს შეინარჩუნებს.

– ნაციონალურ მოძრაობას არ აყვნენ პოლიტიკური პარტიები, ასე ვთქვათ, განუდგნენ და არც ამ აქციას უერთდება მათი ნაწილი, რატომ?

– იმიტომ, რომ ეს პარტიები რამდენი ნაცების გვერდზე დადგნენ, იმდენი გადაყლაპა ნაცმოძრაობამ. დაიკარგა მათი რეიტინგი და ახლა ცდილობენ, გაემიჯნონ. ნაცმოძრაობა არის შავი ხვრელი, ყველაფერს ჭამს, შთანთქავს. ნაცმოძრაობასთან გვერდით გავლაც კი ანადგურებს ამ პარტიებს. ამიტომ ცდილობენ, გამიჯვნა დაიწყონ. გეტყვით იმასაც, რომ ეს აქციები გავლენას ვერ მოახდენს ვერანაირ პროცესზე, გავლენას მოახდენს მხოლოდ სააკაშვილის შიმშილი.

„ივანიშვილი უნდა დაფიქრდეს, მას მოუწევს სააკაშვილის განთავისუფლება“

მურმან დუმბაძე: „ჩვენ ვაპროტესტებთ საქართველოში პოლიტიკურ პატიმრობას... ღმერთმა დაგვიფაროს, მოვიდეს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს დაიჭერს და ციხეში გამოამწყვდევს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაში ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ მონაწილეობაზე უარი განაცხადა. თქვენ იღებთ მონაწილეობას?

– დიახ, მე ვიღებ მონაწილეობას. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, დარწმუნებული ვარ, ამ პარტიების ლიდერებს საღამოს 18 საათამდე გადაწყვეტილების შეცვლა მოუწევთ. რუსთაველზე ხალხმრავალ აქციას ისინი შეუერთდებიან. თუ არ მიიღებენ აქციაში მონაწილეობას, ამით პირველ რიგში საკუთარ პარტიებს ავნებენ. დარწმუნებული ვარ, მათი პარტიის რიგითი წევრები ბევრი მოვა მიტინგზე. როგორც ვიცი, ინდივიდუალურად ისინი აპირებს დასწრებას. საქართველოს მესამე პრეზიდენტზე, ინსტიტუტსა და პოლიტპატიმარზეა საუბარი.

ეს აქცია არ ეძღვნება მხოლოდ ერთ პირს. ამით ჩვენ ვაპროტესტებთ საქართველოში პოლიტიკურ პატიმრობას. თუმცა, ცხადია, პოლიტპატიმრობა სულაც არ ნიშნავს, რომ ადამიანი აბსოლუტურად უცოდველია, დანაშაული საერთოდ არ აქვს ჩადენილი. დღეს სააკაშვილი ნამდვილად არის პოლიტპატიმარი და ამას ამბობს პოლიტიკის განმარტებითი ლექსიკონი.

– რამდენად ხალხმრავალი აქცია იქნება? რეგიონებიდან აპირებენ მოქალაქეები ჩამოსვლას?

– რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი იქნება რუსთაველის გამზირზე. რომ გითხრათ, ძალიან ორგანიზებულად ვახდენთ ადამიანების მობილიზებას, ასე არ არის, მაგრამ ადამიანების ძალიან დიდი რაოდენობა არის მზად, გამოთქვეს სურვილი, რომ აქციას შეუერთდნენ. ჩემი მშობლიური რეგიონიდან, აჭარიდან, სარფიდან დაწყებული, ხულოს ჩათვლით, ძალიან ბევრი ადამიანი აპირებს ჩამოსვლას. პანდემიის პირობებში, სხვა უამრავი ფაქტორის მიუხედავად, ადამიანები მზად არიან თავიანთი ნება დააფიქსირონ.



– მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრი შეხვდება სახალხო დამცველს, ჯანდაცვის მინისტრს და როგორც ცნობილია, ფართო კომისია შეიქმნება. თქვენი ინფორმაციით, როგორია მისის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

– პირადად ციხეში არ შევსულვარ და არ მინახავს, როგორ გამოიყურება, მაგრამ მე ვენდობი მის ადვოკატებს, პირად ექიმს. ადამიანი, რომელიც მე-13 დღეა შიმშილობს, შეუძლებელია კარგად იყოს. შიმშილობა ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობაზე აისახება. თანდათან კიდევ უფრო დაუძლურდება თუ შიმშილობას არ შეწყვეტს. ამიტომ, ამოცანაა, რომ პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღოს.

– როგორი უნდა იყოს პოლიტიკური გადაწყვეტილება?

– მესამე პრეზიდენტი პატიმრობიდან უნდა განთავისუფლდეს. მიხეილ სააკაშვილის მიმართ დევნა უნდა შეწყდეს. მეტიც, მას საქართველოს მოქალაქეობა უნდა აღუდგეს და მას პოლიტიკური საქმიანობის სრული თავისუფლება უნდა მიეცეს საქართველოში. პრობლემა მიხეილ სააკაშვილი კი არ არის, პრობლემა არის ნახევარ მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე. 600 ათასი ადამიანი, რომელიც მას უჭერს მხარს. რა ვუყოთ ამ ადამიანებს?! რა ქნან ამ ადამიანებმა?! ვეკითხები ბიძინა ივანიშვილს. შეიძლება უფრო მარტივი გამოსავალი 600 ათასი ტყვია იყოს?! შეიძლება ფიქრობს, ამ გზით მიხეილ სააკაშვილი დასრულდება, მაგრამ მე ვარწმუნებ, რომ არ დასრულდება. ასე გვეგონა 90-იან წლებშიც, რომ მოკვდინებაში იყო გამოსავალი. ზვიად გამსახურდია ჯერ ქვეყნიდან გავაგდეთ და შემდეგ მოვკალით. ამაში გვეგონა გამოსავალი, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა.

30 წლის შემდეგ, იგივე გამოძახილი 21-ე საუკუნის საქართველოში წარმოუდგენელია. ოთხ პრეზიდენტს შორის ორის ბედი ასეთი სავალალო და ტრაგიკული არ უნდა იყოს. ეს პირველ რიგში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა უნდა გააცნობიერონ.

– პატიმრების, პოლიტპატიმრების განთავისუფლება აქციებით არ ხდება. რა არის ამ აქციის მიზანი? ეს უფრო გზავნილი იქნება ივანიშვილისადმი თუ საერთაშორისო საზოგადოებისადმი?

– ეს იქნება გზავნილი ყველას მიმართ. ცხადია, პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილისადმი, რომ საქართველოში ვერ ეგუებიან მიხეილ სააკაშვილს ციხეში. მას მოუწევს ამ საკითხზე დაფიქრება, რაც არ უნდა ხიბლში იყოს ჩავრდნილი, რომ ის გამარჯვებულია დღეს. ბოროტებას სიკეთემ უნდა სძლიოს. მასში ადამიანმა უნდა გაიღვიძოს. ივანიშვილს მოუწევს სააკაშვილის განთავისუფლება. ამით ჩვენ უნდა დავამთავროთ პოლიტიკური დევნა. ღმერთმა დაგვიფაროს, მოვიდეს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ბიძინა ივანიშვილს დაიჭერს და ციხეში გამოამწყვდევს. ეს ეტაპი უნდა დავასრულოთ. ეს ქვეყანა ყველასია და ყველამ უნდა აშენოს.

რაც შეეხება აქციას, მისი გამართვა მნიშვნელოვანია. თუ თავიდან ერთი და ორი ეპისკოპოსი ითხოვდა სააკაშვილის განთავისუფლებას, დღეს ოთხი ეპისკოპოსი ითხოვს.

სიმტკიცით ხდება პოლიტპატიმრების განთავისუფლება. საქართველოს მოქალაქის ინიციატივაში, მის პასუხისმგებლობაში დევს განთავისუფლებაც და ისიც, იქნება თუ არა ამ ქვეყანაში პოლიტპატიმარი. თუ ძლიერი იქნება საქართველოს მოქალაქე თავის ამ პოზიციაში, სახელმწიფო იქნება ძლიერი, თუ არა, ყველა მოგვერევა ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ.

მეუფე ნიკოლოზი: „იმედი მაქვს, ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან და საყოველთაო შერიგება მოხდება“

– მიხეილ სააკაშვილის მიმართ მქონდა ასეთი გზავნილი – ვფიქრობ, ჩვენ ყველანი და მთელი ქვეყანა ვდგავართ დიდი გამოწვევის წინაშე და გამოსავალი აქედან არის შევწყვიტოთ სიძულვილის რიტორიკა, შევწყვიტოთ ერთმანეთზე ცუდი საუბარი.

ამის შესახებ ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა მეუფე ნიკოლოზმა (ფაჩუაშვილი) საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მონახულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მეუფე ნიკოლოზმა აღნიშნა, ყველამ უნდა იფიქროს შერიგებასა და ქრისტიანულ მიტევებაზე.

ამასთან, მეუფე ნიკოლოზი იმედოვნებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხიდან გამოვა და დაიწყება ახალი ერა, ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

– მე ვერ გეტყვით, როგორ გრძნობს თავს. რაც ვნახე, ჩვეულებრივად გამოიყურება. გარდა იმისა, რომ ადამიანური საუბარი გვქონდა, მე მქონდა მის მიმართ ასეთი გზავნილი – ვფიქრობ, ჩვენ ყველანი და მთელი ქვეყანა ვდგავართ დიდი გამოწვევის წინაშე და გამოსავალი აქედან არის, შევწყვიტოთ სიძულვილის რიტორიკა, შევწყვიტოთ ერთმანეთზე ცუდი საუბარი.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკვერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„2-3 თვეში სააკაშვილს არ გამოუშვებენ, ის ხელისუფლებას პოლიტიკური ვაჭრობისთვის სჭირდება“

ნიკა ჩიტაძე: „ოპოზიციას რეიტინგი არ მოემატება იმ გადაწყვეტილებით, რომ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე არ მივიდეს“

იაგო ნაცვლიშვილი

რას ელოდება დღევანდელი აქციისგან? როგორ აფასებს ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილებას, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე არ მიდიან? ხომ არ ქმნის გადაჭარბებულ მოლოდინს „ნაციონალური მოძრაობა“ და რა სურს სააკაშვილს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– რამდენად სწორად მიგაჩნიათ პატარა პარტიების გადაწყვეტილება, რომ არ უერთდებიან სააკაშვილის მხარდამჭერ აქციას?

– მე არასწორ გადაწყვეტილებად ვაფასებ. მგონია, რომ ამ თემაზე მნიშვნელოვანია ოპოზიციურმა პარტიებმა ერთობა წარმოაჩინონ. შესაძლოა ვიღაცას არ მოსწონდეს სააკაშვილი, მაგრამ პრობლემაა ის, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის წინააღმდეგ ხორციელდება პოლიტიკური და სამართლებრივი ხასიათის დევნა. აქედან გამომდინარე გაცილებით კარგი იქნება, თუ სხვადასხვა ოპოზიციური პარტიები შეუერთდებიან აქციას. ისინი არ უერთდებიან, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოპოზიცია დაშლის პირას არის, რადგანაც ოპოზიციის ლიდერები თავიანთ მომხრეებს მოუწოდებენ, რომ მხარი დაუჭირონ ოპოზიციონერ კანდიდატებს მეორე ტურში.

– ოპოზიცია რაღაცნაირად ცდილობს სააკაშვილისგან დისტანცირებას. მორალური მხარე გვერდზე რომ გადავწიოთ, პოლიტიკურად რამდენად გამართლებულია ოპოზიციური ლიდერების გადაწყვეტილება? 2020-ის შემდეგ მოხდა მათი რაღაცნაირად შერწყმა ენმ-თან, დღეს მოახერხებენ დისტანცირებას და რას მოუტანთ ამ აქციაზე არ მისვლა ელექტორატის მხრივ?

– მე ასე მგონია, რომ მაინცდამაინც გაიზარდოს მათი რეიტინგი ამის გამო. იმიტომ, რომ მათი რეიტინგი იგივე დარჩება. მით უმეტეს, რომ ეს პატარ-პატარა პარტიები მეორე ტურში აქტიურად არ მონაწილეობენ, რადგან მათი კანდიდატები მეორე ტურში არ გასულან. საინტერესოა, როგორ წარიმართება მოვლენები. ვიცი, რომ რეგიონებიდანაც აპირებს ხალხი ჩამოსვლას ამ აქციაზე.

– ხომ არ ჩანს, რომ ოპოზიციასაც არ სურს თავისუფლებაზე მყოფი სააკაშვილი? კი აკეთებენ განცხადებებს, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარია, მაგრამ ამით იმას ხომ არ ცდილობენ, რომ ამ სურვილებში არ გაიშიფრონ? ანუ, ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი საფრთხედ ხომ არ მიაჩნიათ მათაც?

– შესაძლოა, საფრთხედ არ თვლიან, მაგრამ მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი არ არის მთელი ოპოზიციის ლიდერი. კი ბატონო, თვლიან, რომ ის არის პოლიტიკური დევნილი, მაგრამ არ აღიარებენ მთლიანი ოპოზიციური სპექტრის ლიდერად და ალბათ აღნიშნული გარემოებით არის განპირობებული მათი პოზიცია.

– ანუ, არ უნდათ, რომ სააკაშვილს ჰქონდეს აბსოლუტური უპირატესობა?

– დიახ, რა თქმა უნდა, ეს არ სურთ.

– თავად სააკაშვილს რა სურს? თქვენ არ ელოდით მის ჩამოსვლას და არ გამართლდა თქვენი ეს პროგნოზი.

– დიახ, ჩემი პროგნოზები ხშირ შემთხვევაში მართლდება ხოლმე, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა. მე არ ველოდი მის ჩამოსვლას. თუმცა, ჩამოვიდა და აღნიშნულს გააჩნია თავისი დადებითი მხარეებიც და უარყოფითიც თავად სააკაშვილისთვის. უარყოფითია ის, რომ მაგალითად, მე წინააღმდეგი ვიყავი მისი ახლა ჩამოსვლის. იმიტომ, რომ მისი დაბრუნების წინაპირობა არ არსებობდა. რადგანაც ის გახდებოდა დევნის ობიექტი. მით უმეტეს, რომ მას უკრაინაში მაღალი თანამდებობა ეკავა და პრეზიდენტი ზელენსკი მას ენდობოდა, რომელმაც რეფორმების განხორციელება სააკაშვილს გადააბარა. ამიტომაც, ვფიქრობ და მნიშვნელოვანი მგონია, რომ სააკაშვილს უკრაინიდან უნდა მიეღო მონაწილეობა საქართველოში მიმდებარე პროცესში. მართალია სააკაშვილი შემოიპარა, მაგრამ ხელისუფლებას რაც ჰქონდა ნათქვამი, რომ მას დააპატიმრებდნენ, მათ ეს გააკეთეს. ახლა კი მათ მიეცათ საშუალება, რომ პოლიტიკური ვაჭრობა აწარმოონ. იგივე ოპოზიციასთან, იგივე საერთაშორისო საზოგადოებასთან.

– ხელისუფლება სააკაშვილის თემით ყველასთან ვაჭრობს?

– კი, ეს მათთვის დამახასიათებელია. კარგი ის არის, რომ მიხეილ სააკაშვილმა გამოაჩინა, რომ გაბედული ადამიანია და გამბედაობა გამოიჩინა. იცოდა, რომ დაპატიმრება ელოდა, მაგრამ მძიმე პირობებშიც ქართველი ხალხის გვერდით რომ ყოფილიყო, ეს უნდოდა.

– დიდხანს მოუწევს ციხეში ყოფნა?

– ზოგად ფონზეა დამოკიდებული. თუნდაც დღევანდელ აქციაზე რამდენი ადამიანი გამოვა. მე პირადად მივალ ამ აქციაზე. მე არ მაქვს მოლოდინი აქციისგან, რომ მეორე დღეს მოხდება სააკაშვილის გათავისუფლება და ა. შ. მაგრამ ხალხის რაოდენობა განსაზღვრავს შემდგომში განვითარებულ მოვლენებს. მნიშვნელოვანია ეს აქცია, თუმცა სიტუაციას რადიკალურად არ შეცვლის.

– პოლიტიკოსები, ამ შემთხვევაში ენმ-ის წევრები, ამაში ხომ არ უშვებენ ხოლმე შეცდომებს, რომ ქმნიან გადაჭარბებულ მოლოდინებს. ახლაც თითქოს ქმნიან ამ მოლოდინს და რამდენად სწორია?

– ყოველ შემთხვევაში, ცდილობენ, რომ მოუწოდონ ხალხს აქციაზე მისვლისკენ, რათა ბევრი ხალხი მივიდეს. აქცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. უბრალოდ, დამოკიდებულია რა რაოდენობის ადამიანი გამოვა, ამას ხელისუფლება აკვირდება. ხუმრობით იძახდნენ, რომ 5.000-ზე მეტი ადამიანი ვერ შეკრიბესო. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ხალხის რაოდენობა სოლიდური იყოს. ასევე ბევრი რამეა დამოკიდებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. იმიტომ, რომ ეს საკითხი განიხილება ევროპის საბჭოს ფორმატში. ამიტომ საბოლოო სიტყვას ევროპის საბჭოს სასამართლო იტყვის. მასზეა დიდწილად დამოკიდებული, დადგება თუ არა დღის წესრიგში სააკაშვილის გათავისუფლება-არგათავისუფლების საკითხი.

– სწორად მოიქცა ნიკა მელია, როდესაც ის არ მივიდა თაკო ჩარკვიანის დაორგანიზებულ აქციაზე?

– სასურველი იყო მისულიყო, თუმცა დიდ შეცდომად არ მიმაჩნია. საერთო ჯამში, მელია მებრძოლი ადამიანია და საქართველოში დემოკრატიის განმტკიცებისთვის იბრძვის.

– როგორც იყო დარღვევები 2020-ის არჩევნების დროს, ასეთივე იყო ახლაც. ოპოზიციამ მაშინ არ აღიარა შედეგი, დღეს კი ფაქტობრივად აღიარეს. რატომ – გააანალიზეს ძველი შეცდომები თუ უბრალოდ ახლა ასე აწყობთ?

– ამ შემთხვევაში ოპოზიცია კონცენტრირებულია მეორე ტურზე.

– მაშინაც იყო მეორე ტურები.

– მაშინაც იყო, მაგრამ იმის გამო, რომ არ აღიარეს შედეგები, მეორე ტურში ვერ მიიღეს მონაწილეობა. ახლა მათ სურთ მეორე ტურებში მონაწილეობა, ამიტომაც, თუ არ აღიარებენ, ვერ მიიღებენ მონაწილეობას მეორე ტურში. ამიტომ, აღიარებენ შედეგებს.

– ანუ, შეცდომა გააანალიზეს?

– კი, გარკვეულწილად ამას ნიშნავს. ფაქტია, რომ მეორე ტურში იღებენ მონაწილეობას. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ მეორე ტურები ისე ჩაატაროს „ოცნებამ“, რომ ყველაფერი იკადროს და ყველანაირი უკანონო რესურსი გამოიყენოს არჩევნების მოსაგებად, თუ ამას მოგება შეიძლება დავარქვათ.

– მიმდინარე პოლიტიკურ პროცესთან დაკავშირებით რა პროგნოზი გაქვთ?

– მე ასე მგონია, რომ სააკაშვილი 6 წელს არ გაატარებს ციხეში, რაც ამ ეტაპისთვის აქვს მისჯილი, მაგრამ უახლოეს პერიოდში მის გათავისუფლებას არ ველოდები.

– უახლოეს 2-3 თვეში არ ელით მის გათავისუფლებას?

– ნეტავ მოხდეს, მაგრამ ჯერჯერობით არ მგონია. იმიტომ, რომ ხელისუფლებას ის სჭირდება პოლიტიკური ვაჭრობის საწარმოებლად.

– ერთგვარი პოლიტიკური ტყვეა „ოცნების“ ხელში?

– კი, გარკვეულწილად ასეა.

„ნაცმოძრაობა ოპოზიციის მღრღნელი პარტიაა“

ამირან სალუქვაძე: „დღეს მიშა ევროპულ საპატიმროში ზის“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, სააკაშვილი დააპატიმრეს და შიმშილობს. ნაცმოძრაობამ კი 14 ოქტომბერს გრანდიოზული საპროტესტო აქცია დანიშნა. ამჯერად მაინც გამოუვათ გრანდიოზული აქცია და მათ პროტესტს მათთვის სასურველი შედეგი ექნება?

– როგორც მე რეგიონებიდან ვიღებ ინფორმაციას, ნაცმოძრაობა საკმაო რესურსების მობილიზებას ახდენს, რა ფულიც არჩევნებზე არ დაუხარჯავთ, ახლა აქციებზე დახარჯვას გეგმავენ, რათა ამ ფორმით მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დასახსნელად ფონი შექმნან.

უმჯობესი იყო, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაშინ ეფექრათ და მძიმე დანაშაულები არ ჩაედინათ. სააკაშვილის ბოლო წერილი, ფაქტობრივად, არეულობისკენ მოწოდებაა. ერთი მხრივ, თითქოს წერს, მეორე ტურებში ხმების დასაცავად მოვემზადოთო, მაგრამ ამავე დროს ციხიდან გამოგზავნილ წერილში ნაცებს მოუწოდებს, მეორე ტურამდე უნდა დამიხსნათო.

– საინტერესოა, რას გულისხმობს დახსნაში?

– ეს არის არეულობისკენ მოწოდება. სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეზე განაჩენი დამდგარია, ზოგ საქმეზე გამოძიება, ზოგზეც სასამართლო პროცესები მიმდინარეობს. თუ თავი უდანაშაულო ჰგონიათ, დამდგარ განაჩენებზე საქმეები ევროსასამართლოში წაიღონ და იქ ეძიონ სამართალი, როგორც ხდება ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში.

თუ ეს სახელმწიფოა, ნებისმიერი სასამართლოს განაჩენი უნდა აღსრულდეს. სიკვდილით დასჯას არ ვგულისხმობ. საბედნიეროდ, ჩვენ ასეთი სასჯელი არ გაგვაჩნია. დანარჩენი ყველა განაჩენი უნდა აღსრულდეს. სააკაშვილმა, როგორც მისი ხელისუფლების დროს, მანამდე და მერე ხდებოდა, გაასაჩივროს სტრასბურის სასამართლოში. თუ იქ გაამართლებენ, მაშინ მან საპატიმრო დაწესებულება უნდა დატოვოს, თუ არადა, სასჯელი უნდა მოიხადოს. სხვაგვარად საზოგადოებას ან მიშას მომხრეებს როგორ წარმოუდგენიათ?!

– აქცია ყოვლისმომცველი იქნება?

– რიცხოვნობით მუქარებმა საზოგადოება უკვე დაღალა. თავად ნაცმოძრაობამ და ყოფილმა ფანჩატურმა (საბედნიეროდ, ის ფანჩატურიც დაიშალა) ამომრჩეველი და მოსახლეობა დაღალა. მათ მიტინგებზე გამოსვლა აღარ სურთ, რაც სწორია, რადგან ხალხში ჯანსაღი პროტესტი უნდა არსებობდეს. ნაცმოძრაობამ, თავისი მუდმივი აგრესიით, ხალხში ჯანსაღი პროტესტი გააქრო.

ათეული წლების მანძილზე მივეჩვიეთ, თუ პარლამენტის წინ რამდენიმე ათასი ადამიანი დაინახეს, იმ წამსვე ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნას აყენებენ. როცა ხელისუფლება გადადგომის თაობაზე მათ მოთხოვნას არ ასრულებს, იწყება პარლამენტში შევარდნები და ძიძგილაობა. ხალხი დაიღალა. თუ კიდევ ვინმე დარჩა, ვისაც შევარდნები მოსწონს, ვისაც ელემენტარული რამ არ ესმის, უნდა იცოდეს, რომ მსგავსი რყევები სახელმწიფოს, მის ეკონომიკას, ბიზნესკლიმატს, საინვესტიციო გარემოს და არსებული ბიზნესის განვითარებას აზიანებს.

არც ერთი ბიზნესმენი არათუ საკუთარი ბიზნესის განვითარებაზე, არსებული საწარმოს რეორგანიზაციაზეც კი არ იფიქრებს, როცა სახელმწიფოში მუდმივი რყევებია, როცა სახელმწიფო ვერ ახერხებს კონსტიტუციურ ციკლში ნორმალურად, რყევების გარეშე ფუნქციონირებას.

არჩევნები ჩატარდა, დასავლეთმა აღიარა, კეთილი ინებე და უმცირესობა უმრავლესობას დაემორჩილე. მიიღე მთავარი არბიტრების – ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და დასავლური სადამკვირვებლო მისიების აღიარება. როგორც ახლანდელი, ასევე წინა არჩევნები ყველამ აღიარა. მიუხედავად ამისა, იმუქრებიან, 100 ათასი თუ ვიქნებით, ხელისუფლებას დავამხობთ და სააკაშვილის ციხიდან დახსნა მოხერხდებაო. ვინ არიან, თავს იმის უფლებას რატომ აძლევენ, ხალხი შეიკრიბონ და ვინმე ციხიდან დაიხსნან?

ნაცმოძრაობის დროს ციხეებში ათიათასობით ადამიანი იჯდა. დღეს ციხეებში ათასობით ადამიანი ზის. ერთი პატიმარი, სააკაშვილი თავის თავს იმის უფლებას რატომ აძლევს, რომ ხალხმა ის ციხიდან აუცილებლად უნდა დაიხსნას? დანარჩენი (9 ათასი) პატიმრები, რომელიც დღეს სხვადასხვა საპატიმროში არიან, ადამიანები და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არ არიან? თავის თავს ამდენ უფლებას რომ აძლევენ, ყველაზე ამაზრზენი ეს არის.

რა ჰქვია იმას, უმაღლესი მთავარსარდალი, ფაქტობრივად, თავის ყოფილ სტატუსს და თავის ყოფილ ხელქვეითებს რომ აფურთხებს. ბევრი მათგანი, ალბათ, დღეს მსახურობს, საგუშაგოზეა და ყოფილი მთავარსარდალი კონტეინერით შემოეპარათ.

– სააკაშვილის შემოპარვას გმირობად რომ ნათლავენ?

– ყველაზე ძლიერ სახელმწიფოში, აშშ-ში ათასობით იპარებიან და ეს გმირობად არ ითვლება. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომელიმე ქვეყნის ლიდერმა საკუთარ თავს ასეთი რამ აკადროს – ან გაიპაროს, ან შემოიპაროს და ის ცივილიზებულ სახელმწიფოში გმირობად ჩაითვალოს. ნაცპარტიის ფანკლუბს ეს გმირობა ჰგონია – სოციალურ ქსელში წერენ, მიშამ შეძლო, სახელმწიფო თავზე დაგამხოთო. ეს არ არის ბუნებრივი.

– კიდევ ერთი „თეზა“ აქვთ, მიშა დამნაშავე არ არისო. მაგალითად, წიკლაურმა თქვა, გირგვლიანის საქმე არარსებულიაო. თქვენ ამ მიდგომას როგორ უყურებთ?

– რაც მეტ ასეთ სისულელეს ილაპარაკებენ, მით მეტად გააღიზიანებენ საზოგადოებას და მეტ აგრესიას დათესავენ. ყველას ახსოვს, ყოფილი ხელისუფლების როგორი მიუღებლობა იყო, განსაკუთრებით, მძიმე დანაშაულების გამო. მათთვის ყველაფერი დადგმულია, რაც ციხეებში ხდებოდა. გირგვლიანის საქმეც მოგონილია. ყველამ იცის, რაც მიშას ციხეებში ხდებოდა. დღეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მიტროპოლიტი გრიგოლი: „საქართველოს მესამე პრეზიდენტს სამშობლოში თავისუფლად ცხოვრების საშუალება უნდა ჰქონდეს“

– საქართველოს მესამე პრეზიდენტის საპყრობილეში ყოფნის ყოველი დღე მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ მოქმედებს!

ამის შესახებ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი სოციალურ ქსელში წერს.

როგორც მიტროპოლიტის მიერ გავრცელებულ მიმართვაშია ნათქვამი, მოცემულ ვითარებაში შეცდომები ძალიან მძიმე შედეგს მოიტანს.

„ნუთუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ დასავლეთი შეთქმულებას აწყობს საქართველოს წინააღმდეგ და ჩრდილოელმა მეზობელმა უნდა „გვიხსნას“ ამ შეთქმულებისგან?! მოცემულ ვითარებაში შეცდომები ძალზე მძიმე შედეგს მოიტანს და ჩვენ ვერ მოვახერხებთ ვერც ჩვენი ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანას და ვერც მის გამთლიანებასა და გაერთიანებას.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ძველ ხიბულაში არის სახლი, სადაც ქვეყნიდან განდევნილი საქართველოდან პირველი პრეზიდენტი მზაკვრულად და ღალატით გამოასალმეს სიცოცხლეს; მანამდე კი სამშობლოდან დევნილმა „უკანონოდ“ გადმოლახა სახელმწიფო საზღვარი, ტყეტყე უწევდა გზის გაკვლევა და აქ დადგა სწორედ მისი ტრაგიკული აღსასრული; შემდეგ იყო მთაწმინდის სავანე, დატირება.

საკითხავია, ვის დასტიროდა გათხრილ საფლავთან ქართული საზოგადოება, საქართველოს პირველ პრეზიდენტს თუ საკუთარ თავს?! ვფიქრობთ, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს საკუთარ სამშობლოში თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა; და ეს, უწინარეს ყოვლისა, სჭირდება არა მას, მიხეილ სააკაშვილს, არამედ ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების სამომავლო ინტერესებს.

იმედი მაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ ქვეყნისთვის დამაზიანებელი შედეგების გარეშე დაძლეულ იქნა ის სახიფათო ზონა, რომელშიც დღეს იმყოფება ჩვენი სამშობლო და წარსულის მძიმე გამოცდილების გათვალისწინებით გავაგრძელებთ წინსვლას შეუქცევადად“ – წერს მიტროპოლიტი გრიგოლი.

„მიშამ ქუთაისისთვის ბევრი კარგი გააკეთა“

გოგი წულაია: „გაუგებარია, რატომ გაუკვირდათ ქუთაისში ოპოზიციის მაღალი პროცენტი“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი, ყოფილი დეპუტატი გოგი წულაია არ გამორიცხავს, რომ შეუერთდეს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ მასშტაბურ საპროტესტო აქციას სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით. ამასთან, იგი აცხადებს, მას არ აქვს სურვილი, რომ უმრავლესობა წარმომადგენლობით ორგანოებში ნაციონალური მოძრაობის ან „ქართული ოცნების“ ხელში იყოს. მისი თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დამთავრდეს ორპარტიული სისტემა, რომელშიც „ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთს ასულდგმულებენ. „ახალი თაობა“ გოგი წულაიას ამ და სხვა საკითხებზე ესაუბრა

– ნაციონალური მოძრაობის მიერ დაანონსებულ აქციასთან მიერთებას არ აპირებენ ის ოპოზიციური ძალები, რომლებიც ცოტა ხნის წინ მასთან ერთად იდგნენ. თქვენ რას აპირებთ? როგორ უყურებთ ამ პროცესს?

– დავიწყებ იმით, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთს აცოცხლებენ. ეს ხდება 2012 წლის შემდეგ. განსხვავება პროცენტებშია. თუ მაშინ „ოცნებას“ გულწრფელად უჭერდა მხარს დაახლოებით 60%, დღეს მხარდამჭერთა რიცხვი 48%-ს ძლივს აღწევს. ეს ხმები რომ მოეპოვებინათ, რა ხერხი აღარ გამოიყენეს! ნაციონალების რეიტინგი პირიქითაა – მაშინ 25%-ზე ადიოდა, ახლა 30-ზე მეტია. „ქართულ ოცნებას“ პოლიტიკურ გარდაცვალებამდე ბევრი არ უკლია.

– კითხვას დავუბრუნდეთ.

– იმას ვამბობდი, რომ ჩვენ სიტუაცია უნდა შევცვალოთ, „ოცნებისა“ და ნაციონალების სისტემა უნდა დავამარცხოთ. არ უნდა დავუშვათ, რომ რომელიმე მათგანი იყოს უმრავლესობით. ერთპარტიულობას და „შუას გაკრეფას“ ქვეყნისთვის სიკეთე არ მოაქვს. მივალ ყველგან, სადაც მისასვლელია, სადაც გამოჩნდება შანსი, რაღაც შეიცვალოს.

– ისაუბრეთ „ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ურთიერთდამოკიდებულებასა და საერთო ინტერესებზე. საზოგადოებაში არის იმის განცდა, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოსვლა და შემდგომი პროცესები შეთანხმებულია ხელისუფლებასთან.

– საერთო ინტერესები არის. არა მგონია, მხარეები ერთმანეთს სპეციალურად შეხვედროდნენ და ამ საკითხზე სჯა-ბაასი გაემართათ. ყველაფერი, ალბათ, თავისთავად მოხდა. შუა კიდევ უფრო გაიკრიფა. სხვა პარტიები უფრო დასუსტდნენ. პარტიებმა მიიღეს ეკონომიკური და სხვა სახის დარტყმები. მაგალითებს მოვიყვან. აგერ, სულ ახლახან, გიორგი ვაშაძის ორგანიზაცია ძალებს იკრეფდა. ის მოხვდა პარლამენტში. ბოლო არჩევნებზე მისი რეიტინგი დაეცა. იგივე დაემართა „ევროპულ საქართველოს“ და სხვებს. არ შეიძლება, ქვეყანაში მარტო ეს ორი ძალა და გახარია იყვნენ. გვჭირდება მრავალპარტიულობა. პარტიები არის, მაგრამ მათ ხელფეხს უკრავენ. მიშას ყოფნა ციხეში ამაგრებს არსებულ სისტემას და აძლიერებს ნაციონალურ მოძრაობას. მყავს ანტიმიშისტი ნაცნობები. ისინიც კი აცხადებენ, რომ ეცოდებათ ციხეში მოშიმშილე სააკაშვილი. ამ აქციაზე, ალბათ, მივალ. ოღონდ, როგორც გითხარით, ერთპარტიულობა და „შუას გაკრეფა“ არ მინდა. საჭიროა ცვლილებები და კოალიციური მმართველობა.

– ქუთაისზე გადავიდეთ. ბევრი აზრი გამოითქვა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შედეგზე. უმრავლესობას არ უკვირს ნაცმოძრაობის და მისი კანდიდატების მაღალი პროცენტები სხვაგან, მაგრამ უკვირთ ქუთაისის მერის არჩევნების შედეგი. თქვენ რას იტყვით?

– რატომ უკვირთ?! რამ გააოცათ, არ ვიცი. მიშამ სხვა რამეში დააშავა, მაგრამ ქუთაისისთვის ბევრი კარგი გააკეთა.

– პარლამენტის გადატანასაც გულისხმობთ?

– ეს არ იყო პატარა რაღაცა. ძველისძველ ქალაქ ქუთაისს მიენიჭა საპარლამენტო ქალაქის სტატუსი. „ქართულმა ოცნებამ“ ეს მოშალა. დეპუტატებმა ათასი მიზეზი მოიგონეს. ზოგს სიარული ეშორებოდა, ზოგმა თქვა, ამომრჩევლებს ვერ ვხვდებითო. არადა, ქუთაისში და მის მახლობლადაც ამომრჩევლები ცხოვრობენ.

– სამაგიეროდ, „ოცნების“ დროს ქუთაისს ტექნოლოგიური უნივერსიტეტი შეემატა.

– პირველ წელს იქ დაახლოებით 200 სტუდენტი ჩაირიცხა, მომავალ წელს 400 გახდა მათი რაოდენობა. გვეუბნებოდნენ, რომ ამ უნივერსიტეტში 60 000 სტუდენტი ისწავლიდა. ამ მაჩვენებლამდე 150 წლის შემდეგ ავალთ. ბევრი რამ, რაც გაკეთდა ქუთაისში, უხარისხოა. შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი ჭაობშია. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ქუთაისში „ოცნება“ არ არის პოპულარული.

– მეორე ტურზე რა ვარაუდს გამოთქვამთ?

– რატომღაც ვთვლი, რომ მეორე ტურს მოიგებს ოპოზიცია. იმასაც ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ 2024 წლამდე ვერ გაძლებს. ნახეთ, რა დღეშია ხალხი. გაძვირდა ყველაფერი, პურის ჩათვლით. არის დიდი ინფლაცია. ადამიანები გარბიან ემიგრაციაში. შეიძლება სოციალური აფეთქებაც მივიღოთ. ქვეყანა გადასარჩენია. გვჭირდება კოალიციური მმართველობა.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველდღე გვარწმუნებენ, რომ 2024 წლამდე არჩევნები არ იქნება.

– ამით თავის თავს ამშვიდებენ და მომხრეებს ამხნევებენ.

– თუ ამომრჩეველს „შუას გაკრეფის“ პრინციპი არ უნდა, წესით, ხმას სხვებს უნდა აძლევდეს.

– რა თქმა უნდა. ამომრჩეველს უნდა მრავალპარტიულობა. ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მას მუდმივად უმღვრევენ ტვინს პოლარიზაციით. პარტიები იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში. რა სჭირდება მოქალაქეს? სტაბილურობა და იმის საშუალება, რომ ირჩინოს თავი და არჩინოს ოჯახი. ხალხს სოციალური შემწეობები კი არა, ნორმალური პირობები უნდა, რომ იშრომოს და საკუთარი შრომითა და ნიჭით ღირსეულად იცხოვროს. ახლანდელი სისტემა ამის საშუალებას არ იძლევა.

მეუფე ნიკოლოზი: „იმედი მაქვს, ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან და საყოველთაო შერიგება მოხდება“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვთხოვე ბატონ მიხეილს, რომ მოეწოდებინა თავისი მომხრეებისთვის, რომ ყველამ ერთად ვიფიქროთ შერიგებაზე, ქრისტიანულ მიტევებაზე. ჩვენ მისატევებელი გვაქვს ძალიან ბევრი ერთმანეთისთვის. ვფიქრობ, ეს ჯერ კიდევ ჩვენი წარსულიდან იწყება, კომუნისტების პერიოდიდან, შემდეგ პირველი პრეზიდენტი, მძიმე 90-იანი წლები და დღესაც ბევრი გვაქვს ერთმანეთისთვის მისატევებელი. ჩვენ რომ ერთმანეთს ვუანგარიშოთ, ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი, ქვეყანა ასე წინ ვერ წაიწევს.

ვუთხარი ბატონ მიხეილს, რომ ქვეყანა ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე დგას, უნდა შევურიგდეთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს. დიდი სისხლია დაღვრილი ჩვენი მხრიდანაც და მათი მხრიდანაც. ანგარიშსწორება არ იქნება პერსპექტიული. მე ეს ვთხოვე ბატონ მიხეილს და მან თავის მიმართვაში ჩაწერა, რაც იმედი მაქვს, გამოქვეყნდება. მინდა თქვენც მოგიწოდოთ, რომ შევწყვიტოთ სიძულვილის რიტორიკა ერთმანეთის მიმართ. დიდი იმედი მაქვს, ბატონი მიხეილი გამობრძანდება ციხიდან და დაიწყება ახალი ერა, ახალი ეპოქა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იმით, რომ მოქმედი და მომავალი ხელისუფლება ერთმანეთთან საერთო ენას გამონახავენ, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

მისივე თქმით, ქვეყნის პირველმა პირებმა მოქალაქეებს შემწყნარებლობის მაგალითი უნდა მისცენ.

– რა თქმა უნდა, ყველა ადამიანმა თავის დანაშაულზე უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ჩვენ დღეს ვცხოვრობთ ისეთ რეალობაში, რომ ძალიან ბევრი დანაშაულია ჩადენილი. ბოლო 30 წლის განმავლობაში განსაკუთრებით, ისეთი დანაშაულებია ჩადენილი, რომელთაც ვადა არ გაუვა არასოდეს, ამიტომ მე ასე ვფიქრობ, რომ ერთმანეთის ბრალდების და მსჯავრის წაყენების ნაცვლად, უნდა ერთმანეთს ყველამ ვთხოვოთ შენდობა. მე ეს ვუთხარი ბატონ მიხეილ სააკაშვილს და ეს მინდა ვუთხრა ყველას. დავიწყოთ ფიქრი საერთო საყოველთაო შერიგებაზე, მაშინ ქვეყანა განვითარდება. დანარჩენი მე არ ვიცი, მე არ ვარ არც იურისტი, არც პოლიტიკოსი, რომ პოლიტიკური განცხადებები გავაკეთო.

ეს არის ჩემი პირადი პოზიცია, არ მქონდა საშუალება, რომ ამ თემაზე სინოდის წევრებთან მემსჯელა, ჩემს თავს უფლება მივეცი, რომ ჩემი, როგორც მოქალაქის, პოზიცია გამომეხატა.

ყველას მინდა ვუთხრა, მომხრეებს თუ მოწინააღმდეგეებს, პოზიცია მდგომარეობს არა იმაში, რომ დაუსჯელობა სუფევდეს ქვეყანაში, არა, საერთო საყოველთაო შენდობა, მე ვამბობ ერთ მარტივ რაღაცას, ის იყო ქვეყნის პირველი პირი, იყო პრეზიდენტი 9 წლის განმავლობაში და ქვეყანას კიდევ ეყოლება პირველი პირები, მე ვფიქრობ, რომ პირველმა პირებმა, ყოფილმა, მოქმედმა, სხვათა შორის, ამ ხელისუფლებაშიც გვყავს ჩვენ ყოფილი პირველი პირები და ამიტომ ვამბობ, რომ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ, რომ მაგალითი შერიგების, შემწყნარებლობის, თანამშრომლობის პირველმა პირებმა უნდა მოგვცენ ჩვენ, რიგით მოქალაქეებს, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

მეუფე ნიკოლოზის განცხადებით, მიხეილ სააკაშვილმა მისი პოზიცია სრულად გაიზიარა.

– რაც ახლა მოგახსენეთ შემწყნარებლობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამოვა ციხიდან, თვითონ ვკითხე და მისი პოზიციაც არის ზუსტად ასეთი, სრული თანხმობა, არავითარი არცერთი სიტყვა არ შემოუბრუნებია, თქვა, რომ თვითონაც ზუსტად ასე ფიქრობს, რომ ეს არის ერთადერთი გამოსავალი, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

„ნაცმოძრაობა ოპოზიციის მღრღნელი პარტიაა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მიშა ევროპულ საპატიმროში ზის. არავის დაპატიმრება არ მიხარია. სააკაშვილი ისე უნდა მოიქცეს, ჩვენში მის მიმართ გრძნობა აგრესიითა და სიძულვილით არ შეცვალოს.

საქართველოში ოთხ კედელში გამოკეტილ ადამიანებს ყოველთვის თანავუგრძნობდით. მოიქცეს ისე, რომ მის მიმართ თანაგრძნობა ჰქონდეთ, მიუხედავად მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებისა. ეს ელემენტარულია. ამაზე საუბარი არ უნდა გვჭირდებოდეს.

ხომ გახსოვთ, კლიპი აქვს ჩაწერილი, სააკაშვილი გორაზე ადის. მაშინ ყველაფერს შეცდომები უწოდა და ზემოდან ბოდიში გადმოგვიგდო. ნიუანსსაც არ აკვირდებიან, როცა ბოდიშს იხდი, დაჯექი მშვიდად, წყნარად კამერის წინ. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მათ მიმართავ. თუ ბოდიშს იხდი, შემდეგ წინასაარჩევნო სისულელეების ლაპარაკი არ უნდა.

ჩემთვის მნიშვნელოვანი ისაა, ყოფილ თუ მოქმედ თანამდებობის პირებს ჩადენილ შეცდომაზე, გადაცდომასა და დანაშაულზე საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდის უნარი ჰქონდეთ. შეიძლება ახსნა, მაგრამ არა ისე, როგორც იმ ვიდეორგოლშია – გადმოაგდო ბოდიში და მერე დაპირებები დაიწყო. დაპირებები არ გვჭირდება. მოსახლეობის ნდობა ხელახლა მოიპოვე და ხელისუფლებაში მოდი, მაგრამ არა ძველი სახეებით.

– ჰგონიათ ძველი სახეებით უფრო ძლიერები არიან.

– ძველი სახეებით ნაცები არჩევნებს ვერ მოიგებენ და ხელისუფლებაში ვერ მოვლენ. ხალხი ამას მოქმედ ხელისუფლებას აბრალებს, აცოცხლებენო. როგორ უნდა გაანადგურო, კანონებს ხომ არ გადაწერ. კაცი ციხეში ზის და იქ არ ისვენებს. პატიმარს ადვოკატთან შეხვედრას ხომ ვერ აუკრძალავ. უამრავი ყოფილი ჩინოვნიკი დღეს დაპატიმრებულია და სასჯელს იხდის. ციხიდან გამოდიან და პოლიტიკაში მიძვრებიან. ეს არის მთელი მათი მორალი და ღირებულებები. როგორ შეიძლება ადამიანმა სამოხელეო დანაშაული ჩაიდინოს და ისევ ხელისუფლებაში მიძვრებოდეს. საზოგადოებას უნდა დაუბრუნდეს გამოსწორებული, სრულიად სხვა აზროვნებით. ციხეში უნდა გაიაზროს, რისთვის მოახდინეს საზოგადოებისაგან მისი იზოლირება და რისთვის გამოკეტეს. თუ სამოხელეო დანაშაული გაქვს ჩადენილი, შენი ადგილი პოლიტიკაში აღარ არის.

– მაშინ გარკვეული ვადით, კანონით უნდა აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა სასამართლო გადაწყვეტილებით.

– ადამიანს პოლიტიკურ საქმიანობას ვერ აუკრძალავ. მოსახლეობას უნდა ჰქონდეს გემოვნება. ქვეყანაში შესაბამისი პოლიტიკური კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს. ამომრჩეველმა აღარ უნდა აირჩიოს ადამიანი, რომელიც გასამართლებულია სამოხელეო თანამდებობაზე ჩადენილი დანაშაულის გამო. ადამიანი, რომელიც სამოხელეო დანაშაულის გამო გასამართლდა, საჯარო სამსახურისა და პოლიტიკისკენ აღარ უნდა მიიწევდეს.

აურაცხელი ფული აქვთ. წელიწადში 200 მილიონს მხოლოდ ტელევიზიებში ხარჯავენ. აღარ ვლაპარაკობ მათი მხარდამჭერი ორგანიზაციების დაფინანსებაზე, აქციებისთვის დახარჯულ თანხებზე. ყოველი აქცია ასეულობით ათასი ჯდება. ჩამოყვანილი ადამიანი, ხელზე რომ არაფერი მისცე, დღის განმავლობაში მინიმუმ 30 ლარი მაინც ჯდება. მიკროავტობუსში 16 კაცი ჯდება. დათვალეთ, 5 ათასი ადამიანი რომ ჩამოიყვანო, რამდენი მიკროავტობუსი სჭირდება.

თბილისში ვეღარ აგროვებენ. ხედავთ, მათ აქციებზე ერთი ქელეხის რაოდენობის ხალხი არ გამოდის. რაოდენობაზე არ ვამახვილებ ყურადღებას, თვითონ საუბრობენ, რუსთაველს გადავავსებთო. თუ გადაავსებ, მერე რა? თუ გადაავსებ, იმის უფლება გაქვს, რომ ქვეყანა აურიო? როცა სამნახევარ მილიონიან ქვეყანაში მხოლოდ მესამედზე ნაკლები გიჭერს მხარს, რისი უფლება გაქვს?

– 100 ათასი რომ გამოიყვანონ?

– თუნდაც 100 ათასი გამოიყვანო, რატომ აძლევ შენს თავს უფლებას, სამნახევარ მილიონ კაცს შენი აზრი თავს მოახვიო იმის გამო, რომ შავი ფულის საშუალება გაქვს და შეგიძლია დახარჯო ასი ათასები? მოსახლეობა დაიღალა. ჩვენ გვჭირდება რამდენიმე წელი რყევების გარეშე.

– ნაცმოძრაობის აქციას რიგი ოპოზიციური პარტიები მხარს არ უჭერენ. ეს რას ნიშნავს?

– ეს იმას ნიშნავს, ოპოზიციურმა პარტიებმა გაიაზრეს, რომ ფანჩატურში ჯდომა და ნაცმოძრაობის დღის წესრიგის გაზიარება მთლიანად ოპოზიციას ანადგურებს. მთელი ცხოვრება ამ პოლიტიკოსებს უნდა ვუყუროთ? 30 წელი გავიდა. ახალი პარტიები ნაცმოძრაობის ხელში მარგინალდებიან. ახლა მიხვდნენ და 14 ოქტომბერს ნაცმოძრაობას მხარს არ უჭერენ.

შეგვიძლია ნაცმოძრაობას პირდაპირ ვუწოდოთ ოპოზიციის მღრღნელი პარტია. ნაცმოძრაობამ მთელი ოპოზიცია შეჭამა და გაანადგურა. თუ კი ვინმემ სცადა პოლიტიკაში შემოსვლა, ყველა გაანადგურა. ახლა მიხვდნენ, რომ ფანჩატურში ყოფნა მათ ანადგურებთ. ფანჩატური სააკაშვილის თამაშს თამაშობდა. ამდენად, პოლიტიკურ ველზე ძალიან მძიმე პოლიტიკური რეალობაა, ძალიან მძიმე სურათი გვაქვს.

მეორე მხრივ, ყოველი მეორე ხელისუფლებას აძლევს ხმას, რაც ცალკე შესაფასებელია. „ქართულ ოცნებას“ იმის განცდა არ უნდა ჰქონდეს, რომ ეს ამომრჩეველი ყოველთვის მყარად იქნება შენარჩუნებული. მათ ამომრჩევლებში არის ხალხი, რომელსაც ნაცმოძრაობა არ მოსწონს და სხვა არჩევანი არ აქვს. თუმცა, მიღებულ 47%-ში დიდი ნაწილი „ოცნების“ მყარი ამომრჩეველია.

ყოფილ ოცნებელებს გარკვეული მოლოდინები ჰქონდათ და გაწბილდნენ. იმდენი შეცდომა დაუშვეს, მომავალ არჩევნებზე იმასაც ვერ მიიღებენ, რაც ადგილობრივ არჩევნებში მიიღეს. არ შეიძლება ერთი კაცის პარტიას დიდი წარმატება ჰქონდეს, განსაკუთრებული იდეა თუ არ ექნება და იმ იდეის ირგვლივ არ იქნებიან გაერთიანებული.

– სააკაშვილი ამჯერად ქართველ ხალხს მიმართავს. როგორც ჩანს, იმედი გაუქრა, რომ დასავლეთი და უკრაინის სახელმწიფო დაეხმარებიან. როგორ აფასებთ სააკაშვილის დაპატიმრებაზე დასავლეთის გამოხმაურებას?

– მგონი, საკმაოდ სერიოზული იმედგაცრუება აქვთ. ამაში გარკვეული როლი რამდენიმე ფაქტორმა ითამაშა. პირველი – როცა დასავლელი პოლიტიკოსების განცხადებები არ მოსწონთ, მათაც ლანძღავენ და ტალახს ესვრიან, მათ შორის, ევროპარლამენტარებსაც. იქამდეც მივიდნენ, რომ თურმე სტრასბურის სასამართლოც მოსყიდული ყოფილა.

მეორე – გადის წლები და დასავლელი პარტნიორები ნელ-ნელა ყველაფერს იგებენ. შესაძლოა სპეცსამსახურებმა და გარკვეულმა ჩინოვნიკებმა ბევრი იცოდნენ, მაგრამ ინფორმაცია ყველა სენატორამდე და კონგრესმენამდე ხომ არ მიდის. მიშა და ნაცები 9 წელია ქვეყანას არყევენ, რაც (არავის აწყობს) საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობებს აზიანებს. ესეც მიუღებელი იყო.

21 წლის ა.ბ.-მ ფეისბუქის მეშვეობით 100.000 ლარი მოიპარა

მამა იოანე ცუხიშვილი: „ჩემი სახელით 80.000 ლარამდეა მითვისებული“

თბილისში თაბორის მონასტრის მღვდლის, მამა იოანე ცუხიშვილის ფეისბუქის გატეხვისა და მისი სახელით თანხების მითვისების, ასევე სხვა დანაშაულთა გამო, 21 წლის ა.ბ. დააკავეს

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის ივლისსა და აგვისტოში უნებართვოდ შეაღწია 3 მოქალაქის ფეისბუქის გვერდებზე. ა.ბ. დაუკავშირდა მათ ფეისბუქის მეგობრებს, რომლებიც შეცდომაში შეიყვანა, მოტყუებით გამოართვა ბანკის პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რის საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათსავე საბანკო ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

ბრალდებულმა, ასევე, 2021 წლის ოქტომბერში უნებართვოდ შეაღწია თბილისში, თაბორის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის ფეისბუქის გვერდზე და აღნიშნული ადამიანის სახელით დაუკავშირდა მის მრევლს. ა.ბ.-მ მრევლს, თითქოს უცხოეთიდან თანხის ჩასარიცხად, მოტყუებით გამოართვა საბანკო პლასტიკური ბარათის მონაცემები და ინტერნეტ ბანკის „სმს“ პაროლები, რისი საშუალებითაც უნებართვოდ შეაღწია მათ კუთვნილ ანგარიშებზე და სხვადასხვა ოდენობის თანხებს დაეუფლა.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ა.ბ. ფეისბუქის გამოყენებით მოტყუებული მოქალაქეებისგან მითვისებულ თანხებს ირიცხავდა ჯერ ონლაინ კაზინოსა და ტოტალიზატორის ანგარიშზე, ხოლო შემდგომ საკუთარ საბანკო ანგარიშებზე“ – წერს შსს.

შსს-ს ცნობით, პოლიციამ, დაკავებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მის პირად კომპიუტერში, სხვადასხვა საქმეზე გამოვლენილი დაზარალებულების Facebook-ის გვერდებზე და საბანკო ანგარიშებზე შეღწევის ფაქტები აღმოაჩინა.

გამოძიების მონაცემებით, ა.ბ.-ის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად ამ ეტაპისთვის 10 დაზარალებული მოქალაქეა, ხოლო ფინანსური ზარალი 100 ათას ლარს შეადგენს. ფაქტთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და შესაძლოა დაზარალებულთა რიცხვი 30-მდე გაიზარდოს, ხოლო მიყენებული ზიანის ოდენობამ გადააჭარბოს 300.000 ლარს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 286-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევას, რამაც მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი გამოიწვია.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლებას აღკვეთას ითვალისწინებს.

მამა იოანე ცუხიშვილი „ტვ პირველთან“ ამბობს, რომ მისი სახელით თანხა დაახლოებით 15 ადამიანს გამოსძალეს.

– ჩემი მესენჯერიდან დაახლოებით 15 ადამიანს დაუგზავნეს შეტყობინებები. ამ ადამიანებთან შეტყობინებების დაგზავნა 12 ოქტომბერს, შუადღემდე დასრულდა. ჯამში, ჩემი ვარაუდით, სავარაუდოდ, 75-80.000 ლარამდეა მითვისებული, – ამბობს სასულიერო პირი.

ოქრუაშვილის და ადეიშვილის საქმეზე პოლიციელი შოთა ჯაფარიძე დაიკითხა

გუშინ, 13 ოქტომბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ბუტა რობაქიძის საქმეზე პროცესი გაიმართა, სადაც პროკურატურის მოწმე, პოლიციელი შოთა ჯაფარიძე დაიკითხა.

სხდომაზე მოწმემ გაიხსენა 2004 წლის 23 ნოემბრის ღამით მომხდარი მკვლელობის დეტალები. როგორც მან აღნიშნა, იმ ღამით, წერეთელზე, პანთეონთან საპატრულო პოლიციის ეკიპაჟმა დახმარების სახით დამატებითი ეკიპაჟი გამოიძახა,

ადგილზე მისულებს დახვდათ გაჩერებული ბმვ-ს მარკის ავტომანქანა, სადაც მოქალაქეები იყვნენ შეკრებილები. როგორც შოთა ჯაფარიძემ განმარტა, გაიგონა გასროლის ხმა, ამ დროს დაიჭრა ბუტა რობაქიძე.

სხდომის დაწყებამდე, ადვოკატებმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ იმ ღამეს, წერეთლის გამზირზე მომხდართან ირაკლი ოქრუაშვილს შემხებლობა არ ჰქონდა. დაცვის მხარემ მოწმის სახით წარმოდგენილ პოლიციელს სხდომაზეც ჰკითხა, თუ რა იცის მან ამ ყველაფერში ირაკლი ოქრუაშვილის მონაწილეობის შესახებ.

– მოწმისგან მივიღეთ მარტივი პასუხი, რომ მან არაფერი იცის. წინა სხდომაზეც ასევე პოლიციის თანამშრომელი იყო, ანალოგიური კითხვა დავუსვით და ასეთი პასუხი მივიღეთ. პირდაპირ, რომ ეს ფაქტი ირაკლი ოქრუაშვილმა მოაწყო, არ არის. დღეს არ არის ისეთი ფორმატი, რომ მოწმეთა ანალიზში შევიდე, დასკვნით სიტყვაში მოგახსენებთ, – განაცხადა ადვოკატმა კახა წერეთელმა.

პროკურორ მიხეილ სადრაძის თქმით, პროცესზე მოწმემ დაადასტურა, რომ იმ ღამით შეიარაღებულ კონფლიქტს მოქალაქეების მხრიდან ადგილი არ ჰქონია, ასევე, იარაღი ან საბრძოლო მასალა ადგილზე არ ყოფილა.

– კიდევ ერთხელ განვმარტავ, ეს წარდგენილი ბრალდების კონტექსტში ირაკლი ოქრუაშვილისა და ზურაბ ადეიშვილის მისამართით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ სწორედ მათი დავალების შესაბამისად მოხდა ამ ვერსიის განვითარება და ამ ვერსიის შესაბამისად საქმის ფალსიფიკაცია. ირაკლი ოქრუაშვილის დავალების შესაბამისად მოხდა, რომ ამ შემთხვევას მიეცა შეიარაღებული ჯგუფის თავდასხმის სახე პოლიციელების მისამართით და ასევე, მოხდა იარაღის ჩადება.

ფაქტი, რომ ადგილი არ ჰქონია არც თავდასხმას და არც იარაღს, ამას ადასტურებს ეს მოწმე და ბევრი სხვაც, – განაცხადა მიხეილ სადრაძემ.

შს ყოფილ მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს და ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებიან.

ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადეიშვილს ბრალი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან რვა წლამდე ვადით.

„სალომე ზურაბიშვილი ამბობს, რომ მასაც უსმენენ“

საქართველოს პრეზიდენტი ფიქრობს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მასაც ფარულად უსმენს. ამის შესახებ სალომე ზურაბიშვილმა ევროპარლამენტარებს უთხრა. ევროპარლამენტარმა პრეზიდენტის მონაყოლი „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში თქვა. მაკლ გალერის თქმით, არაა გამორიცხული, უკანონო მოსმენების უკან ბიძინა ივანიშვილი იდგეს.

– არა მარტო ჩვენ მეგობრებს და ევროკავშირის და გერმანიის ელჩს, პრეზიდენტმაც გვითხრა, რომ მასაც უსმენენ, ეს აღმაშფოთებელია. საჭიროა ფოკუსირება იმაზე, ვინაა ამ აღმაშფოთებელი მოსმენების უკან, თუ შემთხვევით ეს არაა რომელიმე აქტიური პოლიტიკოსი, არამედ ბატონი ივანიშვილია, ასევე აღმაშფოთებელია, ეს უნდა იყოს გამოძიებული და ამ ადამიანმა პასუხი უნდა აგოს, – ამბობს მაიკლ გალერი.

„ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრის ნათქვამს არ ენდობიან.

– „ევროპის სახალხო პარტიის“ მხრიდან, რა თქმა უნდა, ყოველგვარი არგუმენტების გარეშე გადადგომის მოთხოვნა გასაგებია იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის „ევროპის სახალხო პარტიის“ წევრი და ისინი პოლიტიკური თვალსაზრისით ეხმარებიან ოპოზიციას, – ამბობს ბექა დავითულიანი.

ოპოზიციაში ამბობენ, რომ შს მინისტრი უნდა გადადგეს.

– ევროპარლამენტარის შეფასება არის ზუსტი, რა თქმა უნდა, ნებისმიერ ქვეყანაში გამოძიება უნდა იყოს დაწყებული, თუმცა აუცილებლად, ცხადია, მინისტრი გადადგებოდა ამ ვითარებაში, – ამბობს „ლელოს“ ლიდერი, ბადრი ჯაფარიძე.

პარტია „საქართველოსთვის“ უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით გამოძიების დასრულებას ელოდება და წინასწარი შეფასებისგან თავს იკავებს.

– არ არსებობს პასუხები, ავთენტურია თუ არაა ავთენტური ჩანაწერები, ამიტომ წინასწარი შეფასებების გაკეთება რთული იქნება, სანამ არ იქნება პასუხი ავთენტურობის ჭრილში, – ამბობს გიორგი ხოჯევანიშვილი.

ნალენჯიხაში მანქანა მოტოციკლს დაეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა

წალენჯიხაში ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მოტოციკლი შეეჯახნენ.

ავარია გუშინ, 13 ოქტომბერს, საღამოს მოხდა.

შემთხვევის შედეგად დაიღუპა მანქანის 1 მგზავრი.

მოტოციკლის მძღოლი გადაყვანილია საავადმყოფოში.

მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

პოლონეთში ქართველი მძღოლი დააკავეს

მას არალეგალები გადაჰყავდა

პოლონეთში დააკავეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც მიკროავტობუსით ევროკავშირის ტერიტორიაზე არალეგალები გადაჰყავდა.

42 წლის ქართველ მამაკაცს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა. ირკვევა, რომ მძღოლი პოლიციელების მოთხოვნას არ დაემორჩილა და გაქცევა სცადა, რის შემდეგაც მიკროავტობუსს სამართალდამცველებმა საბურავებში ესროლეს.

ქართველი მძღოლის მართვის ქვეშ მყოფ მიკროავტობუსში პოლიციის ოფიცრებმა 12 არალეგალი აღმოაჩინეს, რომლებიც ძირითადად თურქეთის და ერაყის მოქალაქეები არიან.

დაკავებულს 10 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

შიდა ქართლში 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურების ბრალდებით ბაბუა დააკავეს

უმძიმესი დანაშაული მოხდა ხაშურის მუნიციპალიტეტში – 13 წლის შვილიშვილის გაუპატიურების ბრალდებით 53 წლის მამაკაცი დააკავეს.

„ტვ პირველის „ინფორმაციით, ბაბუა შვილიშვილზე სექსუალურად სისტემატიურად, წლების განმავლობაში ძალადობდა.

მოძალადის კვალზე კი პოლიცია მას შემდეგ გავიდა, რაც არასრულწლოვანი სექსუალური ძალადობის შემდეგ სკოლაში შეუძლოდ გახდა და მისი კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო.

13 წლის ბავშვი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში რჩება, ბაბუა კი სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გადაყვანილი.

მას შემდეგ, რაც კაცმა გაიგო, რაც არასრულწლოვანმა მომხდარის შესახებ დედას უამბო, მიმალვა სცადა. 53 წლის კაცი თბილისში დააკავეს.

სოფელში, სადაც ბრალდებული ცხოვრობს, ამბობენ, რომ კაცს შვილიშვილებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. მომხდარის გაგების შემდეგ კი მეზობლები შოკში არიან.

13 წლის გოგონას ფსიქოემოციური მდგომარეობის სტაბილურობისთვის პროცესში ფსიქოლოგი ჩაერთო.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში განუცხადეს.

სააგენტოს ინფორმაციით, არასრულწლოვანზე მზრუნველობას ბიოლოგიური ოჯახი ახორციელებს.

– შსს-დან შემოსული შეტყობინების საფუძველზე, ზრუნვის სააგენტო ჩართულია მყისიერად. გარდა საპროცესო წარმომადგენლობისა, შესაბამისი პროცედურების გათვალისწინებით არასრულწლოვანის უსაფრთხოების დაცვის მიზნით მუშაობს სააგენტოს სოციალური მუშაკი. მოზარდის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტაბილურობისთვის პროცესში ფსიქოლოგიც ჩაერთო, – განაცხადეს სააგენტოში.

როგორ გადასცა ფოთის პორტი ივანიშვილმა გაკოტრებულ ჩინურ კომპანიას

ბიძინა ივანიშვილის საეჭვო კავშირები ჩინურ კომპანიებთან „სამოქალაქო იდეის“ მიერ გამოცემულ მე-8 ანგარიშში მოხვდა.

დოკუმენტში საუბარია ივანიშვილისა და ვანო ჩხარტიშვილის საეჭვო კავშირებზე კრიმინალურ სკანდალებში გახვეულ, გაკოტრების პირას მყოფ ჩინურ კომპანიასთან.

„სამოქალაქო იდეის“ მიერ გაშიფრული სქემაში ნათლად ჩანს, როგორ გააფორმა ივანიშვილმა გაკოტრების პირას მდგომ ჩინურ კომპანიასთან ხელშეკრულება და როგორ გადასცა მათ ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

თინა ხიდაშელი, რომელიც უკვე წლებია, ჩინურ კომპანიებთან მუშაობს, აცხადებს, რომ ივანიშვილმა და ჩხარტიშვილმა გაკოტრებულ კომპანიას საგადასახადო სამოთხე შეუქმნეს.

– ერთმნიშვნელოვნად იკვეთება ჩხარტიშვილის როლი ამ სქემაში, ეს საბუთებშიც ნათლად ჩანს, მაგრამ მხოლოდ ჩხარტიშვილისთვის ქვეყნის 3 პრემიერი რისკზე არ წავიდოდა. ამიტომაც ჩვენ ვამბობდით, რომ ამ ოფშორული კომპანიების უკან იკვეთება ბიძინა ივანიშვილის ფიგურა. 2016 წელს პრემიერმა კვირიკაშვილმა ჩინურ კომპანიას გადასცა ფოთის ინდუსტრიული ზონის 75%, ოღონდ მაშინ ყველამ იცოდა, რომ აღნიშნული კომპანია გაკოტრების პირას იმყოფებოდა. ამ ადგილებს საგადასახადო სამოთხე ჰქვია, რადგან აქ არანაირი საგადასახდო ვალდებულება კომპანიას სახელმწიფოსთან არ აქვს, – აცხადებს „სამოქალაქო იდეის“ ხელმძღვანელი თინა ხიდაშელი.

ბიძინა ივანიშვილის დამალული ქონება „პანდორას ფურცლებში“ აღმოჩნდა, მათ შორის არის გასაიდუმლოებული წილი ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.

„მოვდიოდი 60 კმ/სთ-ით, დამიმუხრუჭა მანქანამ და მეც დავამუხრუჭე“

რუსთავთან ტრაილერი სუბარუს დაეჯახა

გუშინ, 13 ოქტომბერს, რუსთავი-ლილოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ერთმანეთს ტრაილერი და „სუბარუს“ მარკის მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ.

შემთხვევის დროს დაშავდა მსუბუქი ავტომობილის მძღოლი. ტრაილერის მძღოლის თქმით, დაშავებულს პირველადი სამედიცინო დახმარება სწორედ მან აღმოუჩინა.

– მოვდიოდი სადღაც 60 კმ/სთ-ით, მეტით არა. წინ ნაკადი მიდიოდა და დამიმუხრუჭა ავტომობილი და მეც დავაჭირე მუხრუჭებს. ეგ ავტომობილიც გვერდიდან მოდიოდა....

ავტომობილიდან გადმოვიყვანე, პირველადი დახმარება მე თვითონვე აღმოვუჩინე. კონტაქტური იყო, – განუცხადა „ინფო რუსთავს“ ტრაილერის მძღოლმა.

ადგილზე სასწრაფო დახმარების მისვლის შემდეგ მამაკაცი კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანეს.

სამედიცინო დაწესებულებაში აცხადებენ, რომ პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა.

„40 მილიონი ადამიანის ქაოსში ჩაფლობას არ დაუშვებთ“

„დიდი ოცეულის“ ლიდერებმა ავღანეთის საკითხზე შეხვედრა გამართეს

„დიდი ოცეულის“ ლიდერებმა ავღანეთის საკითხზე ვირტუალური სამიტი გამართეს და პირობა დადეს, რომ ქვეყანას დაეხმარებიან და ეკონომიკურ კატასტროფას თავიდან ააცილებენ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ დახმარება „თალიბანს“ პირდაპირი წესით არ უნდა მიაწოდონ და ქვეყანას დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით უნდა დაეხმარონ.

ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ დერ ლაიენმა აღნიშნა, რომ კომისია 1 მილიარდ ევროს გამოუყოფს ავღანეთს, ასევე მის მეზობელ ქვეყნებს ლტოლვილების მისაღებად.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ ქვეყნის „ქაოსში ჩაფლობა“ არ უნდა დაუშვან.

– იმის დანახვა, რომ 40 მილიონი ადამიანი ქაოსში ეშვება, რადგან არ არსებობს ელექტროენერგიის მიწოდება ან ფინანსური სისტემა – არ შეიძლება იყოს და არ უნდა იყოს საერთაშორისო საზოგადოების მიზანი, – განაცხადა მერკელმა.

კანცლერმა აღნიშნა, რომ „თალიბანმა“ უნდა უზრუნველყოს წვდომა გაეროს ყველა იმ ორგანოსთან, რომელიც დახმარებას უწევს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ადამიანის უფლებებს, მათ შორის გოგონებისა და ქალების უფლებებს, პატივი უნდა სცენ.

გერმანიის კანცლერს იტალიის პრემიერ-მინისტრი მარიო დრაგიც დაეთანხმა, რომელიც ვირტუალურ სამიტს მასპინძლობდა. მისი განცხადებით, ყველა მონაწილე შეთანხმდა ავღანეთისთვის მეტი დახმარების გაწევის აუცილებლობაზე. მარიო დრაგიმ ხაზი გაუსვა, რომ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ კონტაქტი „თალიბანთან“, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ აღიარებას.

„დიდი ოცეულის“ ლიდერებმა ასევე განიხილეს გზები, რაც შესაძლებელს გახდის, რომ ავღანეთი ალ-ქაიდას ან ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების კერა არ გახდეს და ასევე უზრუნველყოფს ქვეყნიდან იმ უცხო ქვეყნების მოქალაქეებისა და ავღანელების უსაფრთხოდ გასვლას, რომლებსაც ავღანეთის დატოვება სურთ.

მევლუთ ჩავუშოღლუ:

„თურქეთი გააკეთებს იმას, რაც მისი უსაფრთხოებისთვის არის აუცილებელი“

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, მევლუთ ჩავუშოღლუს, განცხადებით, ქურთების დაჯგუფება „სახალხო დაცვის შენაერთების“ მიერ სირიის საზღვარზე განხორციელებულ თავდასხმებზე პასუხისმგებლობა შეერთებულ შტატებსა და რუსეთს ეკისრებათ.

ჩავუშოღლუს მტკიცებით, აშშ-მა და რუსეთმა არ შეასრულეს დაპირება სირიასთან საზღვრის მიმდებარე ზონიდან „სახალხო დაცვის შენაერთების“ გაყვანის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და აშშ-ის განცხადებები, რომელიც გმობს მათ მიერ განხორციელებულ თავდასხმებს, არაგულწრფელია.

თურქეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ „თურქეთი გააკეთებს იმას, რაც მისი უსაფრთხოებისთვის არის აუცილებელი“. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 12 ოქტომბერს განაცხადა, რომ თავდასხმა, რომლის მოწყობაშიც ანკარა ქურთების დაჯგუფება „სახალხო დაცვის შენაერთებს“ ადანაშაულებს და რის შედეგადაც ორი თურქი პოლიციელი დაიღუპა, „ბოლო წვეთი“ იყო და რომ თურქეთს გადაწყვეტილი აქვს ჩრდილოეთ სირიიდან წარმოშობილი საფრთხეების აღმოფხვრა.

უკრაინაში არავაქცინირებულ პედაგოგებს სამსახურში არ დაუშვებენ

უკრაინაში საგანმანათლებლო დაწესებულებების არავაქცინირებულ თანამშრომლებს ნოემბრიდან სამსახურში არ დაუშვებენ.

ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა, ვიქტორ ლიაშკომ, განაცხადა.

– მასწავლებლები შედიან იმ პროფესიათა ჩამონათვალში, რომელთა წარმომადგენლები აუცილებლად აცრილები უნდა იყვნენ. თუ განათლების სფეროს მუშაკებს კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ნოემბრამდე არ ექნებათ ჩატარებული, მათ, საკარანტინო პერიოდის განმავლობაში, მუშაობის უფლება შეუჩერდებათ ანაზღაურების მიღების გარეშე, – აღნიშნა მინისტრმა.

მისი თქმით, პედაგოგებისთვის ვაქცინაცია არა მხოლოდ მუშაობის გაგრძელების საშუალებაა, არამედ, პირველ რიგში, საქმე ეხება მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის და, ასევე, ბავშვების უსაფრთხოების დაცვას.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გერმანიას დანია შეუერთდა

გაიმართა მსოფლიოს 2022 წლის პირველობის შესარჩევი მატჩები.

ა ჯგუფი

სერბეთი-აზერბაიჯანი 3:1

1:0 ვლაჰოვიჩი (30პ), 1:1 მახმუდოვი (45), 2:1 ვლაჰოვიჩი (53), 3:1 ტადიჩი (83პ)

სერბეთის ნაკრებმა დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. თუმცა, შესვენების შემდეგ პრობლემის ქვეშ იდგა – ვლაჰოვიჩის გოლი მახმუდოვმა გაქვითა.

მე-2 ტაიმში იმავე ვლაჰოვიჩმა და ტადიჩმა სერბეთს 3 ქულა მოუტანეს.

პორტუგალია-ლუქსემბურგი 5:0

1:0, 2:0 რონალდუ (8პ, 13პ), 3:0 ფერნანდეში (18), 4:0 პალინია (69), 5:0 რონალდუ (87)

პორტუგალიის ნაკრები ქულით ჩამორჩება სერბეთს, მაგრამ თამაშით ნაკლები აქვს და პოტენციური ლიდერია.

გუნდს, ცხადია, კრიშტიანუ რონალდუმ ულიდერა, რომელმაც ჰეთ თრიკი შეასრულა.

სატურნირო მდგომარეობა

1.სერბეთი	7	5	2	0	16-8	17
2.პორტუგალია	6	5	1	0	16-4	16
3.ლუქსემბურგი	6	2	0	4	5-14	6
4.ირლანდია	6	1	2	3	8-8	5
5.აზერბაიჯანი	7	0	1	6	4-15	1

ს ჯგუფი

ბულგარეთი-ჩრ.ირლანდია 2:1

0:1 ვაშინგტონი (35), 1:1, 2:1 ნედელევი (53, 63)

ორივე გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი გადაჭრილი აქვთ – ვერც ერთი მუნდიალს ვერ შესწვდება. თუმცა, ერთმანეთში მაინც ბრძოლა გამართეს და მასპინძლებმა უფრო იყოჩაღეს.

არადა, თავიდან ვაშინგტონის გოლით ჩრდილო ირლანდიელები დაწინაურდნენ, მაგრამ ნედელევმა მე-2 ტაიმში თამაში ბულგარელთა სასიკეთოდ შემოატრიალა.

ლიეტუვა-შვეიცარია 0:4

0:1 ემბოლო (34), 0:2 შტეფენი (42), 0:3 ემბოლო (45), 0:4 გავრანოვიჩი (90)

შვეიცარიას მთავარი ბრძოლა წინ აქვს, როდესაც ნოემბერში იტალიას შეხვდება. თუმცა, მანამდე ქულების დაკარგვა არ აწყობდა და ბალტიისპირელებს იოლად მოუგეს.

ემბოლომ დუბლი შეასრულა, ხოლო შტეფენმა და გავრანოვიჩმა თითო შეაგდეს.

სატურნირო მდგომარეობა

1.იტალია	6	4	2	0	12-1	14
2.შვეიცარია	6	4	2	0	10-1	14
3.ბულგარეთი	7	2	2	3	6-10	8
4.ჩრ.ირლანდია	6	1	2	3	5-7	5
5.ლიეტუვა	7	1	0	6	4-18	3

დ ჯგუფი

უკრაინა-ბოსნია 1:1

1:0 იარმოლენკი (15), 1:1 აჰმედჰოჯიჩი (77)

მე-7 მატჩში უკრაინელებმა მე-6 ფრე ითამაშეს. მართალია, უკრაინის ნაკრები სატურნირო ცხრილში მე-2 ადგილზე არის, მაგრამ ფინეთსა და ბოსნიას ნაკლები თამაში აქვთ ჩატარებული და დაკარგული ქულებით უსწრებენ.

არადა, უკრაინა 77-ე წუთამდე უგებდა კონკურენტს, მაგრამ იარმოლენკოს გოლი აჰმედჰოჯიჩმა გაქვითა და ბოსნიას შანსი დაუტოვა.

ყაზახეთი-ფინეთი 0:2

0:1, 0:2 პუკი (45, 48)

ფინეთმა ტეემუ პუკის დუბლით მნიშვნელოვანი 3 ქულა აიღო და მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს ინარჩუნებს.

სატურნირო მდგომარეობა

1.საფრანგეთი	6	3	3	0	8-3	12
2.უკრაინა	7	1	6	0	9-8	9
3.ფინეთი	6	2	2	2	7-7	8
4.ბოსნია	6	1	4	1	8-7	7
5.ყაზახეთი	7	0	3	4	5-12	3

ფ ჯგუფი

ფარერები-შოტლანდია 0:1

0:1 დაიკსი (86)

შოტლანდიამ გაჭირვებით, ბოლო წუთებზე დაამარცხა ფარერები და ფლეი ოფში თამაშს კიდევ უფრო მიუახლოვდა.

სკოტებმა დაიკსის გვიანი გოლით მოიგეს და ახლა უახლოეს კონკურენტს 4 ქულით უსწრებენ.

ისრაელი-მოლდოვა 2:1

1:0 ზაჰავი (28), 2:0 დაბური (49), 2:1 ნიკოლაესკუ (90)

ისრაელმა 2:1 მოუგო მოლდოვას და ჯერ კიდევ აქვს შანსი ფლეი ოფში გავიდეს, მაგრამ ძალიან რთულად აქვს საქმე, რადგან შოტლანდიას 4 ქულით ჩამორჩება.

დანია-ავსტრია 1:0

1:0 მელე (53)

დანიელებმა მელეს ერთადერთი გოლით მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდნენ, ხოლო ავსტრიის ნაკრებმა ფლეი ოფში მოხვედრის შანსიც დაკარგა.

სატურნირო მდგომარეობა

1.დანია	8	8	0	0	27-0	24
2.შოტლანდია	8	5	2	1	13-7	17
3.ისრაელი	8	4	1	3	17-15	13
4.ავსტრია	8	3	1	4	11-14	10
5.ფარერები	8	1	1	6	4-17	4
6.მოლდოვა	8	0	1	7	4-24	1

ი ჯგუფი

ინგლისი-უნგრეთი 1:1

0:1 შოლოი (24პ), 1:1 სტოუნზი (37)

ინგლისს შეეძლო მუნდიალზე გასვლის საკითხი კიდევ უფრო გაემარტივებინა, მაგრამ საკუთარ სტადიონზე უნგრეთს ვერ მოუგეს. ეგ კი არა, აგებდნენ კიდეც, მაგრამ ქულა მაინც გამოადნეს.

თუმცა, ბრიტანელებს ძალიან იოლი კალენდარი დარჩათ და მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

ალბანეთი-პოლონეთი 0:1

0:1 სვიდერსკი (77)

პოლონელებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ და ეს ამოცანა მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე გადაჭრეს. სვიდერსკის გოლმა პოლონელებს მუნდიალზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

სან მარინო-ანდორა 0:3

0:1 პუხოლი (10), 0:2 მორენო (55), 0:3 ფერნანდესი (89)

ჯგუფის აუტსაიდერების მატჩში ანდორამ დიდი ანგარიშით იმარჯვა. ანდორელებმა პუხოლის, მორენოსა და ფერნანდესის გოლებით მოიგეს და ბოლო ადგილი თავიდან აიცილეს.

სატურნირო მდგომარეობა

1.ინგლისი	8	6	2	0	24-3	20
2.პოლონეთი	8	5	2	1	25-8	17
3.ალბანეთი	8	5	0	3	11-7	15
4.უნგრეთი	8	3	2	3	13-12	11
5.ანდორა	8	2	0	6	7-19	6
6.სან მარინო	8	0	0	8	1-32	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯარედ ასლეტმა 15 თვეში 100 კილოგრამი დაიკლო

ამერიკის აიდაჰოს შტატის მკვიდრმა 32 წლის ჯარედ ასლეტმა, რომელიც 218 კილოგრამს იწონიდა, 15 თვეში თითქმის წონის ნახევარი დაიკლო და წარმატებული გახდომის სამი მთავარი წესი დაასახელა.

ასლეტმა წონის მატება კოლეჯის დამთავრების შემდეგ დაიწყო. სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც მამაკაცის ნიშნობა შეყვარებულთან ჩაიშალა. ის ალკოჰოლს მიეძალა. შედეგად მისმა წონამ 200 კილოგრამს გადააჭარბა, რაც მას აქტიურ ცხოვრებაში უშლიდა ხელს. მან გადაწყვიტა, სიტუაცია შეეცვალა და ფსიქოთერაპევტთან ჩაეწერა, რათა ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან გათავისუფლებულიყო და სავარჯიშო დარბაზშიც დაიწყო სიარული.

მამაკაცი კვირაში ხუთ დღეს ვარჯიშობდა და ძაღლს დიდხანს ასეირნებდა. გარდა ამისა, ის სახლშიც ველოტრენაჟორზე ვარჯიშობდა.

ცვლილებები შეეხო მის რაციონსაც. ასლეტმა თითქმის მთლიანად უარი თქვა ფასტფუდზე, ნახევარფაბრიკატებზე და კალორიების თვლა დაიწყო. ასლეტის თქმით, მას გახდომისკენ მიმავალ გზაზე სამი წესი ეხმარებოდა. პირველი წესი – ისეთი ადამიანების გამოძებნა, რომელთა წინაშე პასუხისმგებლობას იგრძნობთ; მეორე წესი – უარის თქმა დიეტაზე, კვების საკუთარი ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მოხმარებული კალორიების შეზღუდვა; მესამე წესი – დისციპლინის სწავლა, ვინაიდან მხოლოდ მუდმივ და თანმიმდევრულ ძალისხმევასა და მოქმედებას მოაქვს შედეგი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მამაკაცმა პირველ პაემანზე 100 ულუფა კერძი შეუკვეთა და ქალი აიძულა, ფული გადაეხადა

ტიკტოკის მომხმარებელმა გოგონამ მოყვა, რომ მამაკაცმა, რომელიც მან გაცნობის ვებგვერდზე გაიცნო, მათ პირველ პაემანზე 100 ულუფა ტაკო შეუკვეთა და თავად ის აიძულა, ფული გადაეხადა.

ელიზ მაიერსი ვიდეოში ყვება, რომ იმ ადამიანთან შეხვედრამდე, რომელსაც ცოლად გაჰყვა, გაცნობის გვერდით სარგებლობდა. ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელიც სწორედ ასე გაიცნო, ის სადილად დაპატიჟა.

თავდაპირველად მათ მის სახლში ჰქონდათ დაგეგმილი შეხვედრა. როდესაც ქალი მითითებულ მისამართზე მივიდა, ახალგაცნობილმა მამაკაცმა განუცხადა, რომ სახლის გასაღები დაკარგა და მანქანით გასეირნება შესთავაზა. თანამგზავრის მითითებებით ქალი რესტორან ტაკო ბელისთან აღმოჩნდა. რესტორანში მამაკაცმა 100 ულუფა ტაკო შეუკვეთა, შემდეგ კი მაიერს განუცხადა, რომ საფულეს ვერ პოულობდა. ქალი შეკვეთის საფასურის გადახდას დასთანხმდა. იმ 15 წუთის განმავლობაში, რომლის დროსაც შეკვეთის მომზადებას ელოდნენ, მამაკაცმა თავისი ყოფილი მეგობარი გოგონას შესახებ უამბო.

ამის შემდეგ ისინი მის სახლში დაბრუნდნენ და ხმის ამოუღებლად შეუდგნენ ტაკოს ჭამას. მალე მათ მამაკაცის მამა შეუერთდა, რის შემდეგაც მაიერსმა გადაწყვიტა, პაემანი დაესრულებინა, ხოლო შეკვეთის დარჩენილი ნაწილი თან წაეღო. გოგონამ შეკვეთაში 150 დოლარი გადაიხადა.

მაურო რესტრეპომ მკითხავს წყევლის მოუხსნელობის გამო სასამართლოში უჩივლა

ამერიკის კალიფორნიის შტატის მკვიდრმა მაურო რესტრეპომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა მკითხავის წინააღმდეგ და მორალური კომპენსაცია მოითხოვა იმის გამო, რომ მან დანაპირები ვერ შეასრულა და მისი ყოფილი მეგობარი გოგონას წყევლა ვერ მოუხსნა.

რესტრეპომ განაცხადა, რომ მის ქორწინებას პრობლემები შეექმნა და მან გადაწყვიტა, დახმარებისთვის მკითხავისთვის მიემართა. მამაკაცმა ინტერნეტში შესაფერისი სპეციალისტის მოძებნა დაიწყო და სოფია ადამსს გადააწყდა. ის საკუთარ თავს „სწორი ცხოვრების მეცნიერების დოქტორსა“ და „სასიყვარულო საქმეების სპეციალისტს“ უწოდებდა. მკითხავის რეგალიებმა მამაკაცი მის მიმართ რწმენით განაწყო და დაუკავშირდა.

სეანსის დროს ადამსმა კლიენტს ტაროს კარტი გაუშალა, რომელმაც უჩვენა, რომ მისი ქორწინება დაწყევლილი იყო. ის ამტკიცებდა, რომ მამაკაცის ყოფილმა მეგობარმა ქალმა ჯადოქარს მისთვის წყევლა შეუთვალა და ის და მისი ახლობლები უბედურებისთვის არიან განწირულნი. თუმცა მკითხავმა მამაკაცი მაშინვე დაამშვიდა და დაარწმუნა, რომ ხუთი ათას დოლარად წყევლას მოხსნიდა და მის ქორწინებას გადაარჩენდა.

შეშინებულმა მამაკაცმა დეპოზიტზე ათასი დოლარი შეიტანა და ცხოვრებაში დადებით ცვლილებებს დაელოდა. ცვლილებები კი არსად ჩანდა. მისი ოჯახური ცხოვრება ისევ ინგრეოდა, ხოლო თავად მას, ისევე, როგორც ადრე, უძილობა და საფრთხის შეგრძნება ტანჯავდა. ამის შემდეგ მოტყუებულმა რესტრეპომ მკითხავის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და განაცხადა, რომ კომპენსაციის სახით მორალური და მატერიალური ზიანის მიყენებისთვის 25 ათას დოლარს ითხოვს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

საქართველოს პირველი მოგება

კოსოვო-საქართველო 1:2

პრიშტინა. ფადილ ვოკრი

0:1 ოქრიაშვილი (11), 1:1 მურიქი (45პ), 1:2 დავითაშვილი (82)

კოსოვო: მურიჩი, ვოივოდა, რაჰმანი, ფაზლიჯი, ალიტი (სელმანი 86), ჰალიმი (ლოშაი 74), დრეშევიჩი, სელინა (მუსლიჯა 86), რაშიცა (ბითიქი 73), მურიქი, რაშანი (მ.კასტრატი 59)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, კაშია, დვალი, გიორბელიძე (აზაროვი 80), კვეკვესკირი, გვილია, კვარაცხელია (დავითაშვილი 72), ოქრიაშვილი (ქვილითაია 72), წიტაიშვილი (ჩაბრაძე 72), ლობჟანიძე (მამუჩაშვილი 90)

საქართველოს ნაკრები პრიშტინაში პრობლემებით ჩავიდა. ავიალაინერმა, რომელშიც ჩვენი დელეგაცია იმყოფებოდა, მთელი 40 წუთის განმავლობაში იტრიალა აეროპორტის თავზე და, როგორც იქნა, მშვიდობით დაეშვა.

გარდა ამისა, კოსოვოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, საქართველო არ აღიარებს. ეს კარგად იცოდა კოსოვოელმა ქომაგმა, რომელმაც საქართველოს ჰიმნს უსტვინა.

ამას თან დაემატა, რომ კოსოვოელებთან მატჩის წინ გამოგვაკლდნენ გიორგი მიქაუტაძე და გიორგი ჩაკვეტაძე, დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშეს კაპიტანმა ჯაბა კანკავამ და გიორგი აბურჯანიამ.

ვილი სანიოლმა შემადგენლობა აშკარად გადაახალისა – საბერძნეთთან წაგებული მატჩის შემდეგ სასტარტოში გამოჩნდნენ გურამ კაშია, ვაკო გვილია, ნიკა კვეკვესკირი, გიორგი წიტაიშვილი და თორნიკე ოქრიაშვილი. სანიოლმა კი, სასტარტო სათამაშო სქემად 4-2-3-1 აირჩია.

ნავსი გატყდა – საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში 9 წლის განმავლობაში არ მოეგო. ეს ჯამში 23 მატჩი იყო. მოვიგეთ... თუმცა, გასროლა იმ დროს ვიცით ხოლმე, ჯგუფური ბარიერის დაძლევის შანსი რომ აღარ გვაქვს.

სანიოლის მიმართ კრიტიკულები ვართ და არც ახლა დაგვეზარება, მაგრამ უნდა გამოვარჩიოთ, რომ ფრანგი სპეციალისტი მთელი თამაშის მანძილზე ბევრ რამეს ცვლიდა მინდორზე, ეძებდა ეფექტურ ვარიანტებს და ცვლილებებიც გამოიცნო. ქართველი ფეხბურთელები ხშირად უცვლიდნენ ერთმანეთს პოზიციას და ეს კოსოვოელთა უკანა ხაზის ფეხბურთელებს აბნევდა.

თუმცა, სანიოლმა შეცვლებამდე მაინც „წააგო“ მეტოქე გუნდის მწვრთნელთან. კოსოვო უკეთ გამოიყურებოდა, საქართველოს ნაკრების თამაშში კი ბევრი იყო შეცდომა და კოსოვოზე ოდნავ მაღალი კლასის გუნდი მოგებას არ დაგვანებებდა. მეტიც, მატჩს რომ არ იგებდა, ეს მათივე მეკარის ბრალია, რომელმაც თორნიკე ოქრიაშვილს გოლი აჩუქა.

მოვიგეთ, მაგრამ კმაყოფილები ვერ ვიქნებით, რადგან მანამდე ბევრი რამ წავაგეთ...

ვილი სანიოლი:

– რა თქმა უნდა, ბათუმში კოსოვოსთან განცდილი მარცხი ძალიან რთული იყო, რადგან ეს იყო მატჩი, რომლის მოგებაც ძალიან გვსურდა. საშინაო შეხვედრის წაგება ყოველთვის ძალიან ცუდია. მოპოვებული 3 ქულა მიმაჩნია, რომ ფეხბურთელების სწორი მუშაობის შედეგია. რთული შეხვედრა გამოვიდა, რადგან კოსოვო საკუთარ მოედანზე მოწინააღმდეგეს ყოველთვის დიდი წნეხის ქვეშ აქცევს. ფეხბურთელები სრულად მიყვნენ იმ სათამაშო გეგმას, რომელიც ამ მატჩისთვის დავსახეთ. რა თქმა უნდა, იყო შეცდომებიც, მაგრამ კმაყოფილი ვარ, რომ მოთამაშეებმა ძლიერი მენტალიტეტი აჩვენეს და ბოლო წუთამდე იბრძოლეს. შეცვლაზე შემოსული ყველა ფეხბურთელი თამაშში კარგად ჩაერთო, ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდში კარგი ატმოსფეროა.

არ ვფიქრობ, რომ კოსოვოს წინააღმდეგ მოგება რაიმე განსაკუთრებულმა მომენტმა განაპირობა. თამაშში განსხვავებული ტაქტიკა გამოვიყენეთ, 3 ცენტრალური მცველით ვითამაშეთ, რადგან გვსურდა ფლანგებზე უფრო ინტენსიურად გვემოქმედა. ნახევარდაცვაში კვეკვესკირი-გვილიას წყვილმა საშუალება მოგვცა, თამაში უფრო მეტად გაგვეკონტროლებინა.

ვფიქრობ, რომ ეს სათამაშო სისტემა ძალიან უხდება ჩვენს გუნდს, მაგრამ ყოველთვის ასე ვერ ვითამაშებთ. ბედნიერი ვარ, რომ კოსოვოსთან ამ ყველაფერმა იმუშავა. ყველაფერი იდეალურად არ იყო, ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომოთ თამაშის ორგანიზების კუთხით. მოგების შემდეგ მუშაობა ბევრად უფრო ადვილია, რადგან ეს არ არის კლუბი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში შეგიძლია ამა თუ იმ საკითხზე მუშაობა. შემდეგი შეხვედრა ნოემბერში გვაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ კოსოვოს წინააღმდეგ მოგება, ფეხბურთელებს თავდაჯერებას შემატებს.

შვედეთის წინააღმდეგ საშინაო შეხვედრაში კარგ მატჩს ველოდებით იმიტომ, რომ ეს საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ბოლო თამაში იქნება. ამასთანავე ძალიან გვსურს, რომ სტადიონზე გულშემატკივრები ვიხილოთ, რადგან ვფიქრობ, რომ ფეხბურთელებს მათი მხარდაჭერა ძალიან აკლიათ. ამიტომ მინდა, რომ შვედეთის წინააღმდეგ ტრიბუნებზე ბევრი ადამიანი იყოს. რაც შეეხება ტაქტიკას, ახლა ამ თემაზე კონკრეტულად საუბარი ძალიან გამიჭირდება, რადგან იქამდე საკმაოდ დიდი დროა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

ბერნარ შალანდე:

– ასეთი თამაშის შემდეგ ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ამ თამაშის წაგება არ შეიძლებოდა, რადგან ხარისხი ცუდი არ იყო. პირველი გოლის შემდეგ გუნდმა რეაგირება მალე მოახდინა და შესანიშნავი თამაში ჩაატარა. ძალიან ბევრი ხელსაყრელი სიტუაცია გვქონდა ბოლო 25 მეტრში, რაც ამ დროისთვის ჩვენი პრობლემაა. მეორე ტაიმში უფრო მეტად დომინანტები ვიყავით, მაგრამ შეტევების დასრულება ვერ მოვახერხეთ. საერთოდ არ ვიყავით ეფექტურები და ბოლო ნაბიჯის გადადგმა გვაკლდა. ასეთი მატჩის წაგებას ვერასდროს ვიფიქრებდი, მაგრამ ფეხბურთი ასეთია – მეტოქე ორჯერ შემოვიდა ჩვენს საჯარიმოში და ორჯერ გოლი გაიტანა. ჩემი გუნდი ცდილობდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, კარგი ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ ამჯერად მეორე გოლი ვერ გავიტანეთ და სახიფათოებიც საკმარისად არ ვიყავით. რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობა მე მეკისრება.

ჩემთვის სატურნირო ცხრილში მე-4 ან მე-5 ადგილზე გასვლა პრობლემა არ არის. რთული ჯგუფი იყო, შეიძლებოდა უფრო მეტი ქულის მოპოვება, მაგრამ ეს პრობლემა არაა. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო მატჩს მოვიგებთ საბერძნეთთან და ერთა ლიგისთვის მოვემზადებით. წინა პრესკონფერენციაზეც ვთქვი, რომ გუნდში თავს კარგად ვგრძნობ და პრობლემა არ მაქვს, ჩვენ შედეგები გვჭირდება, მაგრამ ამჯერად ის არ გვაქვს. მე მაქსიმუმს ვიღებ, ვაკეთებ ჩემს საქმეს და დანარჩენი ფედერაციის გადასაწყვეტია, არა ჩემი. მზად ვარ ყველაფრისთვის, მათ შორის, ერთა ლიგაზე გუნდის ხელმძღვანელობისთვის.

ჩვენივე ჯგუფში შვედეთმა 2:0 მოუგო საბერძნეთს და ცხრილში პირველ ადგილზე აღზევდა. სკანდინავიელთაგან გოლები ფორსბერგმა (პენალტით) და ისაკმა გაიტანეს.

სატურნირო ცხრილი:

1.შვედეთი	6	5	0	1	12-3	15
2.ესპანეთი	6	4	1	1	13-5	13
3.საბერძნეთი	6	2	3	1	7-6	9
4.საქართველო	7	1	1	5	4-12	4
5.კოსოვო	7	1	1	5	4-14	4

ბასილაშვილი ინდიანა უელსის მერვედფინალშია

ინდიან უელსის მეორე წრეში ნიკოლოზ ბასილაშვილმა ესპანელ ალბერტ რამოს-ვინოლასს გამარჯვება ხელიდან გამოსტაცა და მერვედფინალში გავიდა. ქართველმა სამ სეტში 4:6; 7:6; 6:2 მოიგო.

პირველ სეტში ბასილაშვილი 2:5 ჩამორჩა, მაგრამ გაიბრძოლა და სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა. თუმცა, მეტი ვერაფერი გაახერხა და სეტი დათმო.

მეორე სეტში რამდენჯერმე შეიცვალა სიტუაცია. ჯერ ნიკა აწვდიდა სეტზე, მაგრამ მეტოქეს ზედიზედ ორი ბრეიკის გაკეთების უფლება მისცა და უკვე ესპანელი აწვდიდა მატჩზე, მაგრამ ბასილაშვილმა მეტოქეს პარტიის დამთავრების უფლება არ მისცა და ტაი ბრეიკზე მოუგო კიდეც.

მესამე სეტი ნიკოლოზის უპირატესობით წარიმართა და მან მარტივად, 6:2 მოიგო.

ბასილაშვილი მერვედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე რუსი კარენ ხაჩანოვი იქნება.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

შავი ლომი ევროპის სუპერთასს იწყებს

პირველი ქართული პროფესიული ფრენჩაიზი შავი ლომი, რაგბი ევროპის სუპერ თასზე სადებიუტო შეხვედრას 16 ოქტომბერს გამართავს და „ავჭალაზე“ თელავივი ჰითს უმასპინძლებს.

ეს თამაში ჯერ კიდევ სექტემბერში უნდა გამართულიყო, თუმცა საქართველოსა და ისრაელში კოვიდ-სიტუაციის გაუარესების ფონზე, ოქტომბრისთვის გადაიდო.

19 და 25 სექტემბერს ჩვენმა თანაჯგუფელებმა, ენისეიმ და ლოკომოტივმა, ერთმანეთში 2-ჯერ ითამაშეს და გამარჯვება ორჯერვე ენისეის დარჩა – 22:6 და 44:21. კრასნოიარსკელებმა ორჯერვე აიღეს ბონუს-ქულა და აღმოსავლეთ კონფერენციას 10 ქულით ლიდერობენ.

შავი ლომის მსგავსად, თელავივ ჰითიც პირველ შეხვედრას გამართავს. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელში

რაგბი არცთუ ისე პოპულარულია, ჰითი ანგარიშგასაწევი ძალა უნდა იყოს. გუნდის ბირთვი ძირითადად სამხრეთ აფრიკელი, ინგლისელი და კუნძულელი მორაგბეებით არის დაკომპლექტებული. მორაგბეთა დიდ ნაწილს ზე-რაგბის, ტოპ 14-ისა და ინგლისის პრემიერშიფის გამოცდილება უმაგრებს ზურგს.

შავი ლომი წინასამატჩო შეკრებაზე „შევარდენის“ ბაზაზე შევიდა. ჰითის შემდეგ კი, 23 ოქტომბერს ლოკომოტივს პენზაში, ხოლო 30 ოქტომბერს ნისეის სოჭში ეთამაშება. ჯგუფური ეტაპის განმეორებით შეხვედრებს ჩვენი გუნდი დეკემბერში გამართავს.

შავი ლომი შეკრებაზე ასეთი შემადგენლობით შევიდა:

შერკინება: მიხეილ ორაგველიძე, გოგა ქადარია, ნიკა ხატიაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ხუროშვილი, თენგიზ ზამთარაძე; გიორგი პერტაია, ნიკა პატარაია, ნიკა აბულაძე, მიხეილ წიკლაური; ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, მიხეილ ბაბუნაშვილი, იოსებ გუშარაშვილი, დავით გიგაური; გიორგი თხილაიშვილი, ნიკო აფციაური, ლუკა ივანიშვილი, სანდრო მამამთავრიშვილი, თორნიკე აქუბარდია;

უკანა ხაზი: თენგიზ პერანიძე, გიორგი ბეგაძე; გიორგი ბაბუნაშვილი, დავით მოძღვრიშვილი, ლუკა მატკავა; მერაბ შარიქაძე, დემურ თაფლაძე, ლაშა ლომიძე, გურამ ქანდაურაშვილი; აკაკი ტაბუცაძე, სანდრო სვანიძე, სანდრო თოდუა, ოთარ ლაშხი, მირიან მოდებაძე; სოსო მათიაშვილი, ლაშა ხმალაძე.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 2. ჭადრაკის პარტიის დაბოლოება; 3. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 4. რაიმე ნაგებობის ლითონის ან ხის ჩონჩხი; 5. კაცთმოძულე ადამიანი; 10. დამჟავებული ბოსტნეული; 11. კუნძულოვანი სახელმწიფო სპარსეთის ყურეში; 12. შავი ზღვის ზვიგენი; 13. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. ქალისადმი მიძღვნილი პატარა, ლირიკული ლექსი ძველად ევროპაში; 17. ფინური ხალხური ეპოსი; 19. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი; 21. იაპონური მოტოციკლეტი; 23. ბაღჩეული ხილი.

თარაზულად: 6. ნაღვლიანი, სევდიანი განწყობილება; 7. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 8. სოციოლოგიური კვლევის ამერიკული ორგანიზაცია; 9. შთამომავალი, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 14. შექსპირის ნაწარმოებთა ქართულად მთარგმნელი; 15. გაეროს გენერალური მდივანი; 18. ტყის მსხალი; 20. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 22. უნგრული არმიის ძველი სახელწოდება; 24. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 25. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების საერთო სახელწოდება აშშ-ში; 26. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბუტი; 2. ილი; 3. ხაბიზგინა; 4. ოდიში; 5. სახიობა; 8. ბიზე; 9. სანიოლი; 10. ფელამუში; 12. ურჯუკი; 13. გრილი; 15. ელისო.

თარაზულად: 1. ბაიდენი; 6. მასმედია; 7. ტიბრი; 10. ფლიდი; 11. მზისა; 13. გეიშა; 14. უწერა; 16. უშტი; 17. არაქისი; 18. უცნობი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. არჩვაძე; 2. სოლოლაკი; 3. სტრუქტურა; 4. მორავია; 5. კაზუისტიკა; 10. უშქარი; 11. სტადიონი; 12. კოსმოსი; 13. ფლორიდა; 16. ჯამბაზები; 17. ლილახანა; 19. ანტიგონე; 21. თრუსო; 23. შახტი.

თარაზულად: 6. ტრიფოლიატი; 7. ჭორვილა; 8. შანელი; 9. აქილევსი; 14. კლაკიორი; 15. კოსმეტიკა; 18. შონია; 20. ლიკეუმი; 22. კაშხალი; 24. ტრიერი; 25. რეფლექსი; 26. კიტონი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1383

ევრო — 3.6291

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2775

100 რუსული რუბლი — 4.3689

ამინდის პროგნოზი 14 ოქტომბრისათვის

აზარი ჩელსიში დაბრუნდება?

ლონდონის ჩელსი მზად არის, ედენ აზარის გუნდში დაბრუნებაზე იმუშაოს, რადგან აზარს რეალში კარიერა არ გამოუვიდა და ის გუნდის დატოვებაზე ფიქრობს.

ასევე არსებობს ვარაუდი, რომ ანჩელოტის აზარის ხილვა საკუთარ გუნდში არ სურს და ის აქცენტს ვინიციუს ჯუნიორზე აკეთებს.

ჩელსის აზარის ტრანსფერი მინიმუმ 40 მილიონი დაუჯდება.

პედრი შესაძლოა რეალთან მოედანზე ვიხილოთ

ბარსელონას ახალგაზრდა ნახევარმცველი პედრი შესაძლოა უკვე რეალის წინააღმდეგ მოედანზე ვიხილოთ, რადგან მან ტრავმა უფრო ადრე მოირჩინა, ვიდრე ამას ექიმები ელოდნენ.

გასულ წელს პედრის დებიუტი შედგა ბარსელონაში და მას შემდეგ ის გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა.

ტრავმა მან სექტემბრის დასაწყისში მიიღო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჰალკის გამოსახულებიანმა ტელეფონის შალითამ მამაკაცი ტყვიისგან გადაარჩინა

ტელეფონის შალითამ, რომელზეც მარველის სუპერგმირი ჰალკი იყო გამოსახული, ბრაზილიის პერნამბუკის შტატის ქალაქ პეტროლინას მცხოვრები, რომელსაც თავს მძარცველი დაესხა, ტყვიისგან გადაარჩინა.



მამაკაცს, რომლის ვინაობა არ სახელდება, თავს მძარცველები დაესხნენ. გაქცევის წინ კი ბოროტმოქმედებმა მამაკაცს ესროლეს. მოგვიანებით შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ და ბრაზილიელი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

დაშავებულის გამოკვლევის დროს ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ ტყვიას კანიც კი არ დაეზიანებინა. ტყვია მამაკაცს ბარძაყში მოხვდა და მისმა მოტოროლას მარკის სმარტფონმა აისხლიტა, რომელიც ჰალკის გამოსახულებიან შალითაში ედო.

– ტყვია მის მობილურ ტელეფონში გაიჭედა, – დაწერა ტვიტერში ექიმმა პედრო კარვალჰომ.

მამაკაცი შეშინებით და მცირე დაჟეჟილობით გადარჩა. გამოკვლევის შემდეგ ის სახლში გაუშვეს. პოლიციამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა დამნაშავეების დაკავება.

ასტროპროგნოზი

14 ოქტომბრისათვის

ვერძი – რომანტიკულ განწყობას სხვებსაც გადასდებთ. ნებისმიერი შეხვედრა სასიამოვნო იქნება და გაგახალისებთ. **კურო** – ბევრი საქმე გაქვთ, თუმცა ეს ხელს ვერ შეგიშლით, რათა გასართობადაც მოიცალოთ. საკუთარ თავზე იზრუნეთ. **ტყუპები** – პლანეტები გწყალობენ. სიყვარული გეწვევათ. ყოველმხრივ ძალიან გაგიმართლებთ. **კირჩხიბი** – ნებისმიერ საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. შესაძლოა, დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდეთ. **ლომი** – აღმაფრენას გრძნობთ. პირად ცხოვრებაში ძალზე სასიკეთო ცვლილებები მოხდება. საპირისპირო სქესთან ურთიერთობა წარმატებულია. **ქალწული** – მომავალი თამამად დაგეგმეთ, ოღონდ ენერგია რაციონალურად გაანაწილეთ. ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **სასწორი** – დღეს მიღებული გადაწყვეტილება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება. ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **ღრიანკალი** – დღევანდელი დღისთვის ემოციური აღმავლობაა დამახასიათებელი. კრიტიკულ სიტუაციას თავს მარტივად დააღწევთ. **მშვილდოსანი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ. ყველაფერში გიმართლებთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. მხოლოდ ჯანსაღი საკვები მიიღეთ. **თხის რქა** – ძველ მეგობრებთან შეხვედრა გაგახარებთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი ქვეითდება. მომავალს ეჭვით უყურებთ. დაწყებული საქმის დასამთავრებლად გარს თანამოაზრეები შემოიკრიბეთ. **თევზები** – დაბრკოლებების გადალახვა არ გაგიძნელდებათ. საჭიროების შემთხვევაში მეგობრები სიამოვნებით დაგეხმარებიან.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

...

– ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– თურმე ჩვენი მთავრობა არჩევნების შემდეგ მოსახლეობის აღწერას აპირებს.

– და რატომ პირიქით არა, ჯერ აღწერა და მერე არჩევნები?

– კი მაგრამ, გარდაცვლილებმაც ხომ უნდა მოასწრონ ხმის მიცემა.

...

დილით ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, წუხელ დამესიზმრა, რომ ფეხმძიმედ ვარ.

– ექიმს ხომ არ ეჩვენებოდი?

– იცი, უზომოდ ბედნიერი ვიყავი.

– ფსიქიატრსაც...

...

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ცხოველები გიყვარს?

– კი, ძალიან.

– მაშინ, გამომყევი, იცი, რა მაგარი საქონელი ვარ?

...

მოსამართლე მამაკაცს ეკითხება:

– რატომ გინდათ ცოლთან განქორწინება?

– იმიტომ, რომ საჭმელს არც მარილს უშვრებოდა და არც წიწაკას, უნდოდა მეფიქრა, რომ კოვიდ-19 მქონდა!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლევან კოღუაშვილის ფილმი საქართველოს „ოსკარზე“ წარადგენს

რეჟისორ ლევან კოღუაშვილის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი „მეოთხე ბრაიტონი“ საქართველოს „ოსკარზე“ წარადგენს. ფილმში მთავარ როლს მოჭიდავე ლევან თედიაშვილი ასრულებს. ლევან კოღუაშვილის ნამუშევარი უკანასკნელი აღმოჩნდა მსახიობ კახი კავსაძისთვის. ფილმმა ტრიბეკას საერთაშორისო კინოფესტივალზე 3 მთავარი ჯილდო მოიპოვა.

ამერიკის კინოაკადემიის 2022 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ქართული ფილმი იბრძოლებდა: „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“ – რეჟისორი ალექსანდრე კობერიძე, „პერსონა №2“ – რეჟისორი ნინო ბასილია და „მეოთხე ბრაიტონი“ – რეჟისორი ლევან კოღუაშვილი.

წარდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატი ფილმი სპეციალურმა კომისიამ ფარული კენჭისყრის საფუძველზე გამოავლინა. კომისიის შემადგენლობაში გაერთიანდნენ მერაბ ნინიძე, ნანა ჯორჯაძე, ნანა ექვთიმიშვილი, დეა კულუმბეგაშვილი, კონსტანტინე ჩლაიძე, გიორგი ოვაშვილი, რატი ონელი, ლევან კიტია, ვლადიმერ კაჭარავა, ალექსანდრე გაბელია, გიგიშა აბაშიძე, ია სუხიტაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, მარიამ ჭაჭია და თამთა გაბრიჩიძე.

კომისიის წევრებისთვის კვალიფიციური ფილმების დახურული ჩვენება 12 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული არქივის კინოდარბაზში გაიმართა.

გიორგი კალანდარიშვილი „სამზარეულოს ომებში“ მონაწილეობს

მსახიობი გიორგი კალანდარიშვილი, რომელიც მაყურებელმა სერიალიდან „ჩვენი ოფისი“ დოლჩეს როლით გაიცნო და შეიყვარა, ტელეკომპანია „ფორმულას“ კულინარიულ შოუში „სამზარეულოს ომები“ მონაწილეობს.

მსახიობმა გადაწყვიტა, საკუთარი კულინარიული შესაძლებლობები პროფესიონალ შეფებს გააცნოს. მსახიობი „სამზარეულოს ომებში“ თავის დასთან ერთად იღებს მონაწილეობას.

„სამზარეულოს ომები“ „ფორმულას“ ეთერში მალე დაიწყება.

შოუს ახალ სეზონში საზოგადოებისთვის ბევრი ცნობილი სახეა ჩართული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ქალმა მანქანა ავტოგასამართ სადგურამდე თმებით მიათრია

ინგლისის ქალაქ ნორთჰემპტონის მკვიდრმა ქალმა სატვირთი მანქანა ავტოგასამართ სადგურამდე თმებით მიათრია. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



34 წლის წარმოშობით პოლონელმა ანასტასია სავიცკამ სპეციალური ქამრის გამოყენებით მანქანის წინა ბამპერს ჩაუბა საკუთარი თმები და საბუქსირე თოკივით გამოიყენა, რათა ხელების დაუხმარებლად გაეთრია სატვირთო და ის ავტოგასამართ სადგურამდე მიეყვანა.

შთამბეჭდავი მცდელობა არ ყოფილა წარმოუდგენელი იმპროვიზაცია ქალისთვის, რომელსაც მანქანაში ბენზინი დაუმთავრდა. სავიცკა ასე გამოიმუშავებს ფულს. ის საშინელებათა ცირკში გამოდის და სცენაზე ანასტასია IV-ის სახელითაა ცნობილი. მან თავის დროზე სწავლა მიატოვა და ცირკის მსახიობად დაიწყო მუშაობა.

– როდესაც თმებით სატვირთოს მივათრევდი, ეს საშიშად ჩანდა, მაგრამ ნათქვამია, შოუ უნდა გაგრძელდეს. ამაზე ეკოლოგიური გადაადგილების საშუალებას ვერ გამონახავ, – განაცხადა ანასტასიამ.

კაიმანის და უზარმაზარი ანაკონდას ორთაბრძოლა ფოტოგრაფმა გადაიღო

ველური ბუნების ფოტოგრაფმა, ამერიკელმა კიმ სალივანმა კამერაზე აღბეჭდა კაიმანის და უზარმაზარი ანაკონდას სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება.

ფოტოსერიის ავტორმა დააზუსტა, რომ კადრები მიმდინარე წლის სექტემბერში ბრაზილიის მატუ-გროსუს შტატის დასავლეთ ნაწილში მდებარე მდინარე კუიაბას ნაპირზეა გადაღებული. სალივანის თქმით, მისი ფოტოაპარატის ობიექტივში მოხვედრილი რეპტილიების ორთაბრძოლა დაახლოებით 40 წუთს გრძელდებოდა.

ერთ-ერთ ფოტოზე ჩანს, თუ როგორ არის შემოხვეული უზარმაზარი ანაკონდა კაიმანის სხეულსა და თავზე, რომელიც თავის მხრივ თავის გადასარჩენად მას კბილებითაა ჩაფრენილი. თვითმხილველის თქმით, კაიმანმა წყლის სიღრმეში ჩაყვინთა, რითიც ანაკონდას ჰაერთან წვდომა შეუზღუდა.

გარკვეული დროის შემდეგ კაიმანმა ანაკონდასგან თავის განთავისუფლება მოახერხა და მათი ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა.



– კაიმანი მშვიდად დაბრუნდა ნაპირზე, ჩვენ კი მდინარეს თვალს არ ვაშორებდით, სანამ არ დავინახეთ, როგორ ამოსრიალდა წყლიდან ანაკონდა და თავის სოროში არ მიიმალა, – განაცხადა ფოტოგრაფმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ქართული სპორტული რადიო; 2. ტბა კანადა-აშშ-ის საზღვარზე; 3. მუზეუმი ბერლინში; 4. კუბის ფორმის წმინდა მეჩეთი მექაში; 5. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად რაჭაში; 8. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 13. იორდანიის დედაქალაქი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

თარაზულად: 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 7. რადიოაქტივობის საზომი ერთეული; 10. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 11. მოქანდაკის ხის საჭრისი; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე პალესტინა-ისრაელში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა